



საქართველოს მუსლიმური თემი: თვით  
ახდენილი წინასწარმეტყველება?

კონორ პრასადი

ECMI -ის სამუშაო მოხსენება # 58

თებერვალი 2012



უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაკომერციული, არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულ იქნა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მთავრობების მიერ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი დაარსდა ქ. ფლენსბუგში, გერმანიისა და დანიის მოსაზღვრე რეგიონის შუა გულში; რათა ყურადღება მიექცრო ამ ტერიტორიაზე არსებულ უმცირესობებისა და უმრავლესობის მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმატებულ მაგალითზე.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მულტიდისციპლინურ კვლევას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობებს, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. ამასთანავე, წვლილი შეიტანოს ინტერეთნიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის იმ ნაწილში, სადაც ადგილი აქვს ეთნო-კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ECMI-ის კვლევით ნაშრომზე მუშაობენ ECMI-ს თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული მკვლევრები. ECMI-ის მიერ გამოცემულ კვლევებში გამოხატულ აზრებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი.

### **ECMI მოხსენება**

**უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)**

**დირექტორი: დოქ. ტოვე ჰ. მალოი**

**© ECMI 2012**



# საქართველოს მუსლიმური თემი: თვით ახდენილი წინასწარმეტყველება?

ამ მოხსენების მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს დაარსების საკითხის განხილვა; როგორ და რატომ შეიქმნა ის, კონკრეტულად, როგორია მისი როლი, ფუნქცია და მართვის საშუალებები. აუცილებლად იქნება განხილული, თუ როგორ მიიღეს საქართველოს მუსლიმებმა ახალი სამმართველო და რა ზეგავლენას მოახდენს ის მათ ცხოვრებაზე. თუმცა, იმისათვის, რომ სრულად იქნეს გაგებულ ახალი სამმართველოს შექმნის მიზეზები და დანიშნულება, ჯერ აუცილებლად უნდა გავეცნოთ იმ მუსლიმურ მოსახლეობას, რომლის მართვასაც ეს სამმართველო ცდილობს. მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული ადმინისტრაციული ცვლილება მოხდა ისეთ ფონზე, როდესაც მუსლიმურ თემს წლების მანძილზე არათუ რაიმე ცვლილების განხორციელება, არამედ გაერთიანებაც კი არ შეეძლო.

კონორ პრასადი, თებერვალი 2012  
ECMI –ის სამუშაო მოხსენება №58

## I. შესავალი

საქართველოს მუსლიმთა სამმართველო შეიქმნა 2011 წლის მაისის დასაწყისში.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ის შეიქმნა მთავრობის ხელშეწყობით და მთავრობის მაღალჩინოსანთა მიერ, ოფიციალურად ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია, მართოს და მოაგვაროს საქართველოს მრავალფეროვანი მუსლიმური მოსახლეობის პრობლემები და მათთან დაკავშირებული საკითხები. ახალმა სამმართველომ შეცვალა ბაქოში დაფუძნებული ნახევრად დამოუკიდებელი

კავკასიის მუსლიმთა სამმართველო, რომელიც მანამდე საქართველოში მცხოვრები მუსლიმების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსანთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ახალი ორგანო შეიქმნა ხალხის მოთხოვნის გათვალისწინებით, რასაც საქართველოში მცხოვრები მუსლიმთა მოსახლეობის უმრავლესობა მოწონებით შეხვდა.<sup>2</sup> თუმცა, ინგლისური ტექსტის მიხედვით – მუსლიმი ლიდერები და მუსლიმური თემის წარმომადგენლები, უპირატესად აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში,

<sup>1</sup> ოფიციალურად სამმართველო დარეგისტრირდა როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია 2011 წლის 5 იანვარს.

<sup>2</sup> ECMI -ს ინტერვიუ მთავრობის მაღალჩინოსნებთან, თბილისი, აგვისტო, 2011 წ.



გამოთქვამენ უკმაყოფილებას ამ ორგანიზაციის შექმნის ფორმასთან დაკავშირებით. არ არის გასაკვირი, რომ მისი დაფუძნება მწვავედ გააკრიტიკა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარემ, შეის ულ-ისლამმა, ვალაჰშუკურ ფაშაზადემ და მისმა წარმომადგენელმა თბილისში, ჰაჯი ალი ალიევმა.

2011 წლის თებერვალში მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მიუთითებს ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის მზარდ როლზე, რაც აღვივებს დაძაბულობას მოსახლეობის ალბათ, სხვადასხვა თემებს შორის<sup>3</sup>. სტატიაში მითითებულია, რომ რეგიონში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ეთნიკური და რელიგიური ძალადობის საშიშროების ზრდა. მასში ნათქვამია, რომ აღვივებული აქვს შემთხვევებს, როდესაც ხდება მცირე ინციდენტები ადგილობრივ მუსლიმ და ქრისტიან მოსახლეობას შორის, ასევე, აღნიშნულია, რომ “იზრდება დაძაბულობა და მოსალოდნელია კონფლიქტები ლიბერალურ და ფუნდამენტალისტურ ისლამურ ჯგუფებს შორის”.<sup>4</sup>

ამ მოხსენებაში უმთავრესად ყურადღება გამახვილებულია მუსლიმთა საზოგადოების შიგნით არსებულ დინამიკასა და ურთიერთობებზე. ის ეხება უშუალოდ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელ მოსახლეობას, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს უდიდეს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას ქვეყანაში და კონცენტრირებულია ქვემო ქართლის რეგიონში; ამ მოხსენებაში სწორედ ამ რეგიონზეა გამახვილებული ყურადღება. დოკუმენტში მოხსენიებული არიან, აგრეთვე, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ქისტები. ჩვენ არ შეგვხვებოდა აჭარის ეთნიკურ ქართველ მუსლიმ მოსახლეობას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მოხსენების

<sup>3</sup> მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა ქვემო ქართლში, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; თებერვალი, 2011. ინტერნეტ-გვერდის მისამართი: [http://www.cipdd.org/files/40\\_532\\_272132\\_Communityinfo\\_rmedstrategy-KvemoKartli-eng-reduced.pdf](http://www.cipdd.org/files/40_532_272132_Communityinfo_rmedstrategy-KvemoKartli-eng-reduced.pdf)

<sup>4</sup> იქვე.

განხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოს არაქართველი მუსლიმი მოსახლეობა.

მთავრობის მაღალ ეშელონებში გამოთქმულ იქნა შეშფოთება ზოგადად საქართველოში, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ მუსლიმებზე უცხოური ზეგავლენის დონესთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ახალი სტრუქტურის შექმნამდე საქართველოს მუსლიმები ოფიციალურად ექვემდებარებოდნენ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს. როგორც ამ მოხსენებაშია ნახვევები, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ზეგავლენა და ავტორიტეტი საქართველოს მუსლიმებზე შეზღუდული იყო და ბევრი მას კორუმპირებულ ორგანოდ მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების აზერბაიჯანთან რელიგიური და კულტურული კავშირების განმტკიცების საქმეში და წინა პლანზე წამოსწია ის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი პრეზიდენტები გამსახურდია და შევარდნაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს რეგიონებს, რაც ნიშნავს იმას, რომ არც კავკასიის მუსლიმთა სამმართველო და არც საქართველოს მთავრობა სათანადო ზედამხედველობას არ უწევდა და არ მართავდა საქართველოს მუსლიმურ თემებს. ამ პერიოდში, რეგიონში შემოვიდნენ უცხოელი მისიონერები და იქ რამდენიმე სუნიტური და შიიტური რელიგიური ორგანიზაცია დააარსეს. ამ ორგანიზაციების უმრავლესობას კავშირები აქვს სხვა მუსლიმურ ქვეყნებთან. ქვემო ქართლში მცხოვრები მუსლიმებისთვის უმთავრესად ეს არის ირანი, თუმცა, სოფელ მეორე კესალოში ფუნქციონირებს თურქეთის მიერ დაფინანსებული მედრესე (რელიგიური სკოლა).

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ტრადიციული ისლამისა და შიიზმის მიმდევართა და ფუნდამენტალისტი სალაფიტების გამოჩენა.<sup>5</sup> სალაფიტების რაოდენობა საქართველოში შედარებით ნაკლებია, თუმცა, ბოლო წლებში მათი

<sup>5</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მათგან არცერთი არ არის ერთიანი ან ჰომოგენური ჯგუფი.



რაოდენობა გაიზარდა და როგორც ამბობენ, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. სალაფიტებს, რომლებიც ისლამის ფუნდამენტალისტური ინტერპრეტაციის მიმდევრები არიან, ხშირად ვაჰაბიტებსაც უწოდებენ. ეს არის დამამცირებელი ტერმინი, რომლითაც ბევრ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში მოიხსენიებენ ყველა ღვთისმოსავ მუსლიმს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სალაფიტები, როგორც წესი, არ არიან პოლიტიკურად აქტიურნი, ურთიერთობა მათსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა მუსლიმებს შორის ხშირად დაძაბულია.

ამგვარად, ამ სამუშაო მოხსენებაში პირველ რიგში განხილული იქნება საქართველოს არაქართველი მუსლიმი მოსახლეობის მდგომარეობა. მთელი რიგი ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების მეშვეობით გაანალიზდება, თუ ძირითადად რა გავლენიანი ძალები მოქმედებენ რეგიონში და რა ზეგავლენას ახდენენ ისინი მუსლიმთა რელიგიურობასა და სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებზე. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც კავშირში არიან ირანთან, და განისაზღვრება თუ რამდენად მართებულია საქართველოს მთავრობის შეშფოთება მათ საქმიანობასთან დაკავშირებით. შემდეგ, განხილული იქნება ის, თუ როგორ რეაგირებს საქართველოს მთავრობა აღნიშნულ სიტუაციაზე, კერძოდ, თუ როგორ შეიქმნა 'საქართველოს მუსლიმთა სამმართველო'.

ამ მოხსენებისათვის 2011 წლის მაისიდან ნოემბრამდე ტარდებოდა საველე სამუშაოები, ქვემო ქართლში, თბილისში და პანკისის ხეობაში. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სხვაგვარად არის მითითებული ამ მოხსენების ტექსტსა თუ თანდართულ შენიშვნებში, აქ მოცემული დასკვნები გამოტანილია უშუალოდ უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე.<sup>6</sup>

<sup>6</sup> ავტორი მადლობას უხდის ECMI-ის კავკასიის ოფისის თანამშრომლებს, განსაკუთრებით, ტომ ტრიერს, შორენა კობაიძეს და გიორგი სორდიას, მათ მიერ გაწეული უდიდესი დახმარებისა და მიცემული რჩევებისათვის. ასევე, მადლობას უხდის ჯამილა ბაბაევას.

## II. ნაწილი I: სიტუაცია: ისლამი საქართველოს არაქართველ მუსლიმებში

ისლამს საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის ამ ქვეყანაში მე-8 საუკუნეში შემოიტანეს არაბებმა, მას შემდეგ, რაც დაიპყრეს თბილისი. მე-11 საუკუნეში ისლამი მიიღეს მათ, ვისაც ახლა ეწოდება აზერბაიჯანელი მოსახლეობა და საქართველოს მთავრობა დღეს მათ მიიჩნევს "ტრადიციულ რელიგიურ უმცირესობად".<sup>7</sup> ამ მოხსენებაში თავდაპირველად ყურადღება გამახვილებული იქნება საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებზე, თუმცა, საქართველოში არის რამდენიმე სხვა მუსლიმური ჯგუფიც, რომლებიც ასევე იქნებიან აქ მოხსენიებულნი. ესენი არიან: ჩეჩენი ქისტები, რომელთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 8000-ს და რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელში, აგრეთვე, სუნიტური ისლამის მიმდევარი 2000-მდე ავარელებისაგან შემდგარი პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებული აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონის სამ სოფელში.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი მოსახლეობა თავმოყრილია ქვემო ქართლის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (6528 კვ. კმ). აქ მათი რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 226 000-ს (რაც ამ რეგიონის მთელი მოსახლეობის 45.5 %-ია).<sup>8</sup> დაახლოებით 33 600 ცხოვრობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, ხოლო, 18 000 კი თბილისში. დანარჩენები გაფანტულნი არიან ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობის რაოდენობა

<sup>7</sup> 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით მთელ საქართველოში მუსლიმთა საერთო რაოდენობა არის 433 784, ანუ მთელი მოსახლეობის 9.9 პროცენტით.

<sup>8</sup> ციფრები აღებულია ევროპის კრიზისის ჯგუფის 2006 წლის 22 ნოემბრის №178 ანგარიშიდან, საქართველოს აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობები. ინტერნეტ-გვერდის მისამართი: [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/178\\_georgia\\_s\\_armenian\\_and\\_azeri\\_minorities.pdf](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/178_georgia_s_armenian_and_azeri_minorities.pdf).



1989-2002 წლებში 307 500-დან 284 761-მდე შემცირდა.<sup>9</sup> ამის მიზეზი უმთავრესად იყო მათი ემიგრაცია აზერბაიჯანში, თურქეთსა და რუსეთში. ეთნიკური აზერბაიჯანელების უმრავლესობა ემიგრაციის მთავარ მიზეზად ასახელებს მიძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, უმუშევრობის მაღალ დონეს და გაურკვეველ მომავალს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანელები მაინც წარმოადგენენ უდიდეს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას საქართველოში, რომელიც შობადობის მაღალი დონის გამო განუწყვეტლივ იზრდება.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების რელიგიური აქტივობის დონე დაბალია. მუსლიმური იდენტობა განისაზღვრება კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის და არა რელიგიური კუთვნილების საფუძველზე.<sup>10</sup> მარნეულში, ეროვნული მოძრაობა *ჰეირატი* წარმომადგენლის,<sup>11</sup> ზუმრუდ კურბანოვის

<sup>9</sup> 1989 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით

<sup>10</sup> მაგალითად, რეგიონული ექსპერტი, სვანტე კორნელი წერს: “ისლამის გავრცელება [აზერბაიჯანში] სულაც არ ნიშნავს მოსახლეობის გადასვლას ტრადიციულ ისლამურ რწმენაზე. სრულიად საწინააღმდეგოდ, ბევრ ადგილას ისლამური იდეები დაემატა ან კომბინაციაში შევიდა პრე-ისლამურ, უმთავრესად ზოროასტრულ რწმენას და შექმნა სინსკრეტული ნაერთი.” ის აგრძელებს: “აზერბაიჯანი ეოველთვის ითვლებოდა ყველაზე პროგრესულ და არარელიგიურად განწყობილ ზონად ისლამურ სამყაროში. კავკასიაში საბჭოთა კავშირის გაბატონებამდეც ის სახელმწიფოს დაფინანსებით ატარებდა ათეისტურ, სეკულარულ პოლიტიკას.” მეტი ინფორმაციისათვის იხ.: ისლამის პოლიტიზაცია აზერბაიჯანში, სვანტე ე. კორნელი, Silk Road Paper, October 2006. მისამართზე: <http://www.silkroadstudies.org/new/docs/Silkroadpapers/0610Azer.pdf>.

<sup>11</sup> სახალხო მოძრაობა *ჰეირატი* შეიქმნა 1990 წლის თებერვალში. იმ დროს *ჰეირატი* აერთიანებდა აზერბაიჯანელთა სხვადასხვა ფენას და მასში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა ინტელიგენცია. თავდაპირველად მისი მიზანი იყო შეეჩერებინა აზერბაიჯანელთა მიგრაცია საქართველოდან და გაემართა დიალოგი საქართველოს ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობასთან. *ჰეირატი* აგრძელებს მედიატორის როლის თამაშს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის და იცავს აზერბაიჯანული თემის წევრთა უფლებებს. ბოლო წლებში მისი ზეგავლენა

მტკიცებით “[აზერბაიჯანელებისთვის] ისლამი არ არის ცხოვრების წესი, ეს უფრო აზროვნების წესია.” თუმცა, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ერთი ნაწილი იცავს რამადანის მარხვას, სხვები - არა. ზოგი მათგანი შესაძლოა, მარხვას მხოლოდ რამდენიმე დღე იცავდეს. კურბანოვისმტკიცებით, ზოგი აზერბაიჯანელი ღორის ხორცსაც კი ჭამს, რაც წარმოადგენს იმის მაგალითს, რომ საქართველოს აზერბაიჯანელები არ არიან ‘ფანატიკოსები’ და არიან “უფრო მეტად ევროპელები, ვიდრე ევროპაში მცხოვრებ მუსლიმთა უმეტესობა.”<sup>12</sup>

ამის საწინააღმდეგოდ, თბილისის მოლა და ახლად შექმნილი საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მთავარი შეიხი ვაგიფ აკბეროვი, ამტკიცებს, რომ საქართველოს აზერბაიჯანელები დღეს არიან “ისლამის მიმდევრები და იცავენ ისლამურ წესებს.”<sup>13</sup> ამასთან, კომუნისტური წყობის დაშლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ ბევრ მუსლიმს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარი სარწმუნოების პრინციპებზე, რელიგიურობის დონემ აწევა დაიწყო, ისევე, როგორც ეს ხდებოდა მთელ საქართველოში და ზოგადად მთელ პოსტ-საბჭოურ სივრცეში რელიგიასთან და სულიერებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებრივი გაერთიანება ‘ტოლერანსის’ თავმჯდომარე ელბრუს მამედოვი ამბობს, რომ სულ უფრო და უფრო მეტი მომლოცველი ასრულებს *ჰაჯს* -

შემცირდა, თუმცა, ბევრი ეთნიკური აზერბაიჯანელი მას ისევ სცემს პატივს და მისი ხელმძღვანელები ინარჩუნებენ ახლო კავშირებს ბაქოს პოლიტიკურ და საინფორმაციო წრებთან. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხ.: *დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს ქვემო ქართლის რეგიონულ ინტეგრაციას*, ჯონათან ვითლი, სამუშაო მოხსენება №23 უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი, თებერვალი, 2005. მისამართზე: <http://www.ecmi.de/publications/detail/23-obstacles-impeding-the-regional-integration-of-the-kvemo-kartli-region-of-georgia-173/>.

<sup>12</sup> ECMI-ს ინტერვიუ სახალხო მოძრაობა *ჰეირატი*ს წარმომადგენელთან, ზუმრუდ კურბანოვთან. მარნეული, აგვისტო, 2011 წ.

<sup>13</sup> ECMI-ს ინტერვიუ საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მთავარ შეიხთან, ვაგიფ აკბეროვთან



პილიგრიმოზას მექაში და, ასევე, ირანის სხვადასხვა რელიგიურ ადგილებში.<sup>14</sup>

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა, რელიგიური საკითხების სპეციალისტმა, ლეილა ჯეჯელავამ, აღნიშნა, რომ უწინ მხოლოდ ასაკოვანი ადამიანები დადიოდნენ მეჩეთში, ახლა კი ამას უმეტესად ახალგაზრდები აკეთებენ.<sup>15</sup> თბილისის მთავარი ჯუმა მეჩეთი (საკრებულო მეჩეთი) ყოველთვის სავსეა პარასკევის ღოცვაზე და მლოცველთა უმრავლესობა ახალგაზრდაა. აქ არსებული მეჩეთები ემსახურება არა მხოლოდ ადგილობრივ აზერბაიჯანელებს, არამედ უცხოეთის მოქალაქეთა მზარდ რაოდენობას. ჩვეულებრივ, ყოველ პარასკევს, ადგილობრივებთან ერთად, აქ ღოცვას ესწრებიან მუსლიმები პაკისტანიდან, არაბული და აფრიკის ქვეყნებიდან.<sup>16</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ეს მეჩეთი სუნიტურია, აქ დადიან როგორც სუნიტები ისე შიიტები - რაც მიუთითებს ამ ორი აღმსარებლობის მიმდევართა კეთილგანწყობაზე ერთმანეთის მიმართ ქართულ კონტექსტში. ასევე, ქვემო ქართლში, მეჩეთები და რელიგიური ორგანიზაციები ერთნაირად ემსახურებიან როგორც სუნიტებს, ისე შიიტებს. რელიგიური ორგანიზაციები, რომლებთანაც ფუნქციონირებს მედრესეები (რელიგიური სკოლები), არ ეკითხებიან სტუდენტს სუნიტია ის თუ შიიტია.<sup>17</sup> აზერბაიჯანელ მუსლიმებში კონფესიების მიხედვით დაყოფა არ ხდება. ზოგის შეფასებით საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების 60-70 პროცენტი შიიტია, სხვები კი ამტკიცებენ, რომ მოსახლეობა თანაბრად არის დაყოფილი სუნიტებად და შიიტებად. ზუსტი ციფრები დადგენილი არ არის.

ქვემო ქართლში დიდი მეჩეთების ნახვა შეიძლება დმანისში, ბოლნისში და

მარნეულში. ამ უკანასკნელს ბევრი მიიჩნევს აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული ტერიტორიის 'დედაქალაქად'. უფრო პატარა არაოფიციალური მეჩეთების ნახვა შესაძლებელია აზერბაიჯანელებით დასახლებულ თითქმის ყველა ქალაქში.<sup>18</sup> ბევრ დიდ ქალაქში ერთზე მეტი მეჩეთი ფუნქციონირებს.<sup>19</sup> გარდა ამისა პატარა სოფლებში ღვთისმსახურების აღსრულება ხდება ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებში. ამგვარად, რეგიონში არსებული მეჩეთების ზუსტი რაოდენობის დადგენა სიძნელეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ სულ ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და კახეთში დაახლოებით 79 მეჩეთია, აქედან 37 აშენდა 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.<sup>20</sup>

### ზეგავლენა (i) რელიგიური ორგანიზაციები

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მთელი რიგი რელიგიური ორგანიზაციების დაარსება წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები მუსლიმების რელიგიურობის დონის ამადლების პირდაპირ მიზეზს. ეს პროცესი არის, თუმცა ნაკლები მასშტაბის, აზერბაიჯანში არსებული სიტუაციის ანარეკლი, რომელიც 1991 წლის შემდეგ

<sup>18</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმური მეჩეთები ან სამლოცველო სახლები გამოიყენება არა მხოლოდ ღვთისმსახურების აღსრულების მიზნით, არამედ ისინი წარმოადგენენ, ასევე, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და სხვადასხვა საქმიანობის ცენტრებს. მეჩეთს არ აქვს კონკრეტული დიზაინი ან სტრუქტურა. ამგვარად, ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც აგებულია ან გამოიყენება საზოგადო ღოცვებისათვის ითვლება მეჩეთად. ინფორმაციის წყარო: Mosque: its significance, Islam.com, <http://www.islam.com/salat/mosque.htm>.

<sup>19</sup> მაგალითად, საქართველო-სომხეთის საზღვარზე, სოფ. სადახლოში, არის ოთხი მეჩეთი. სოფლის ბევრი მცხოვრები ერთ მათგანს მიიჩნევს "ვაპაბიტურ" მეჩეთად. ის ააშენა საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკური აზერბაიჯანელების ოჯახმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ თურქეთში. როგორც ამბობენ, თურქეთთან კავშირები თანდათან იზრდება. როგორც ადგილობრივი ექსპერტები ამტკიცებენ, ისინი კვლავაც იღებენ ფულს თურქეთის რელიგიური ჯგუფებისაგან.

<sup>20</sup> ECMI-ის ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა ავლ ულ-ბეთის წარმომადგენლებთან. ივლისი, 2011 წ.

<sup>14</sup> ანგარიში "საქართველოს მუსლიმური თემი 2010-2011", ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის მონიტორინგის ჯგუფი "MRMG", თბილისი, დეკემბერი, 2011.

<sup>15</sup> ECMI-ს ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთან, ლეილა ჯეჯელავასთან, თბილისი, ივნისი, 2011.

<sup>16</sup> ჯუმა მეჩეთში ECMI-ს დაკვირვების შედეგები, თბილისი, ივნისი-ივლისი, 2011.

<sup>17</sup> ეს არის სადავო საკითხი და მისი განხილვა მოხდება მომდევნო პუნქტებში.



გახდა რამდენიმე დაპირისპირებული რელიგიური მოძრაობის სამიზნე.<sup>21</sup> 70-წლიანმა საბჭოთა მმართველობამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა რელიგიურ საქმიანობაზე ორივე რეგიონში, რაც იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელების უმრავლესობამ დაკარგა კავშირი ორგანიზებულ რელიგიასთან, ხოლო, ისლამის უმთავრესი პრინციპების ცოდნა პრიმიტიულ დონემდე დავიდა. ისევე, როგორც პოსტ-საბჭოური სივრცის ბევრი ზონა, საქართველოს მუსლიმებით დასახლებული ადგილებიც 'რელიგიურ ვაკუუმში' აღმოჩნდა. ხალხმა თითქმის არაფერი იცოდა საკუთარი რელიგიის შესახებ, თუმცა ბევრს ჰქონდა სურვილი, მიეღო ცოდნა ამასთან დაკავშირებით.

1990-იან წლებში, მთავრობა არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას საქართველოს რეგიონებში განვითარებულ მოვლენებს. საქართველოს მთავრობა ამ დროს უშუალო მონაწილეობას არ იღებდა ქვემო ქართლის მცხოვრებთა საქმეებში და თითქმის არანაირ ზომებს არ ატარებდა აზერბაიჯანელი მოსახლეობის ინტეგრაციისათვის.<sup>22</sup> აი, ასეთ გარემოებაში, ქართლში დაიწვეს შესვლა მისიონერებმა, უმთავრესად ირანიდან, რომლებსაც ახალგაზრდები მიჰყავდათ სასწავლებლად მუსლიმური განათლების ისეთ მნიშვნელოვან ცენტრებში, როგორიცაა, მაგალითად, ყუმი.<sup>23</sup> ამგვარ ინსტიტუტებში

<sup>21</sup> 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანში მოქმედებს დაახლოებით 1750 მეჩეთი, რაც არის რელიგიის მიმდევართა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შედეგი. აქედან 92 მეჩეთის დაფინანსება მოხდა საზღვარგარეთიდან: 63 ქუვეითიდან, 24 თურქეთიდან, ხოლო დანარჩენების კატარიდან, ირანიდან და საუდის არაბეთიდან. Mosque Demolitions Under Way, ETH Zurich, 26 May 2009, <http://www.isn.ethz.ch/isn/Current-Affairs/Security-Watch-Archive/Detail/?lng=en&id=100612>

<sup>22</sup> ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ჯონათან ვითლი, ECMI-ს სამუშაო მოხსენება №44, სექტემბერი 2009. ინტერნეტ-გვერდის მისამართი: [http://www.ecmi.de/uploads/tx\\_lfpubdb/working\\_paper\\_44\\_en.pdf](http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/working_paper_44_en.pdf).

<sup>23</sup> დამოუკიდებელი ჟურნალისტის, რამილია ალიევას სიტყვებით, 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს აზერბაიჯანელები განსაკუთრებული ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ

უმადლესი რელიგიური განათლების მიღების შემდეგ, სტუდენტები ბრუნდებოდნენ საქართველოში და ზოგიერთი მათგანი აცალიბებდა რელიგიურ ორგანიზაციას. ამგვარად, ქვემო ქართლში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც ინარჩუნებენ კავშირს უცხოეთთან. ისინი ხელმძღვანელობენ *მედრესეებს*, აფინანსებენ მეჩეთების მშენებლობას ან სარემონტო სამუშაოებს და ჩაბმულნი არიან მთელ რიგ სხვა საქმიანობებში.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი და აქტიურია აჰლ ულ-ბეითი; ის შიიტური და ოფიციალურად დამოუკიდებელია, თუმცა, აქვს არაოფიციალური კავშირი ირანთან. ის დაარსდა 2001 წელს ქვემო ქართლის ქ. მარნეულში. მისმა ხელმძღვანელმა რასიმ მამედოვმა,<sup>24</sup> რომელმაც რელიგიური განათლება ყუმიში მიიღო 1990-იან წლებში, განაცხადა, რომ აჰლ ულ-ბეითის *მედრესეში* მისი დაარსების დღიდან განათლება მიიღო 5000-მა ადამიანმა, ამჟამად კი იქ 600 მოწაფეა.<sup>25</sup> ამ ორგანიზაციის ოფიციალურ მიზანს წარმოადგენს მისცეს რელიგიური განათლება საქართველოს აზერბაიჯანელ მოსახლეობას. იქ ისწავლება ყურანი და შიიტურ თეოლოგიასთან დაკავშირებული სხვა რელიგიური საგნები. 2003 წლიდან, ის მოწაფეებს სთავაზობს აგრეთვე ქართულის, ინგლისურის და ინფორმატიკის (კომპიუტერის) გაკვეთილებს. ის აგვარებს ორგანიზაციულ საკითხებს მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით და გამოსცემს თავისივე სახელწოდების

იმყოფებოდნენ. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავის გადარჩენა, რის გამოც ბევრი ბავშვი სკოლაში არ დადიოდა. ალიევას აზრით, მისიონერები სწორედ ამგვარ ბავშვებზე აკეთებდნენ არჩევანს. ECMI-ის ინტერვიუ დამოუკიდებელ ჟურნალისტ რამილია ალიევასთან, თბილისი, ნოემბერი 2011 წ.

<sup>24</sup> 2011 წლის ივლისის დასაწყისში ECMI-მ ჩაატარა ფოკუს-ჯგუფის ოთხსაათიანი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ აჰლ ულ-ბეითის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და უფროსი მასწავლებელი.

<sup>25</sup> გარედან მოწვეული დამკვირვებლები ამტკიცებენ, რომ ეს ციფრი რამდენადმე გაბერილია. ECMI-ის ინტერვიუ, მარნეული, ივლისი-აგვისტო 2011.





გაზეთს. მას გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი რელიგიურ საკითხებზე და 2001 წელს მისი დაარსების დღიდან მან ორგანიზაცია გაუკეთა საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 500 აზერბაიჯანელი მომლოცველის მოგზაურობას ირანის წმინდა შიიტურ ადგილებში, კერძოდ, ყუმსა და მეშქედში.

აჰლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობის განცხადებით დაფინანსებას ისინი იღებენ შემოწირულობების სახით კერძო პირებისგან და თურქეთის და ირანის რელიგიური ორგანიზაციებისგან.<sup>26</sup> ის უარყოფს ფულადი სახსრების მიღებას ირანის მთავრობისგან. თუმცა, აზერბაიჯანის კულტურული ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მარნეულში, აცხადებს, რომ აჰლ ულ-ბეითს მჭიდრო კავშირი აქვს ირანის საელჩოსთან თბილისში, რომლის ხელმძღვანელი პირები ხშირად სტუმრობენ ამ ორგანიზაციას და გადასცემენ მას თანხას ნაღდი ფულის სახით. ასევე, მარნეულის ერთ-ერთი მცხოვრების განცხადებით, აჰლ ულ-ბეითი ფულს იღებს ირანის საელჩოდან, თუმცა, ვინაიდან საუბარია ნაღდი ფულზე, მისი დადასტურება ან მასზე კონტროლის დაწესება შეუძლებელია.<sup>27</sup>

თბილისის ერთ-ერთ რაიონში, ორთაჭალაში, დიდ და მდიდრულად მოწყობილ სახლში ფუნქციონირებს მსგავსი, თუმცა ოფიციალურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, აჰლ ულ-ბეითი. სახლი აშენებულია 2009 წელს ნაჯაფში (ერაყი) მცხოვრები დიდი აიათოლა ალი ალ-სისტანის პირდაპირი და უხვი დაფინანსებით. აქ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ჰაჯი ფაიგ ნაბიევის ზედამხედველობით, ფუნქციონირებს პატარა მედრესე. ამ სახლში არის ისლამური წიგნების ბიბლიოთეკა სხვადასხვა ენებზე. 200 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი, ინტერნეტ-კაფე და ასევე, ცალკე ოთახები. მედრესეს ემსახურება სრულ განაკვეთზე მყოფი ხუთკაციანი თანამშრომელთა შტატი და რამდენიმე

მასწავლებელი. მედრესეში სწავლობს დაახლოებით 25 მოწაფე, რომელთაგან ყველა ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი სტუდენტია. გაკვეთილები რელიგიურ საგნებში, ქართულ ენაში და საინფორმაციო ტექნოლოგიებში ტარდება კვირაში ოთხჯერ, სადამოლობით, სასწავლო სემესტრის დროს და ისევე, როგორც აჰლ ულ-ბეითში, მეცადინეობა უფასოა და დასწრება შეუძლიათ როგორც სუნიტებს, ისე შიიტებს. ბოლო წლებში ალულ ბეითმა მოაწყო, ასევე, რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციას რელიგიურ თემებზე.

საქართველოს აზერბაიჯანელების მცირე რაოდენობა კვლავაც დადის საზღვარგარეთ უმაღლესი რელიგიური განათლების მისაღებად, რადგან ამის გაკეთება საქართველოში შეუძლებელია. უმრავლესობა სწავლობს ირანში, ზოგიერთი მათგანი მიდის, ასევე, აზერბაიჯანში, თურქეთში, საუდის არაბეთში და სხვა არაბულ ქვეყნებში. ირანში ჩასულთათვის დანიშნულების ადგილი კვლავაც ყუმია. დადგენილია, რომ საქართველოს აზერბაიჯანელი სტუდენტების საერთო რაოდენობა ყუმში ამჟამად 16-დან 20-მდეა. იმ წყაროების ინფორმაციით, რომლებიც პირადად ესაუბრნენ მათ, სწავლის დასრულების შემდეგ თითქმის ყველა მათგანი აპირებს შინ, საქართველოში დაბრუნებას და მეჩეთებში ახუნდებად, ან მედრესეებში მასწავლებლებად მუშაობას.<sup>28</sup> გამომდინარე იქიდან, რომ ყუმი განთქმულია როგორც უდიდესი ცენტრი მსოფლიოში შიიტური განათლების მისაღებად და სტუდენტები იქ უფრო მაღალი დონის რელიგიურ განათლებას იღებენ, ვიდრე საქართველოში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი უკან დაბრუნება შემდგომ წლებში კიდევ უფრო დიდ ზეგავლენას მოახდენს მუსლიმი მოსახლეობის მიერ რელიგიური საქმიანობის პრაქტიკულად განხორციელებაზე.

იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებენ რელიგიური ორგანიზაციები საქართველოში, წინამდებარე კვლევით სამუშაოში მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის ხასიათისა და ზეგავლენის დონის განსაზღვრა. მთავრობის ერთ-ერთი მაღალი რანგის წარმომადგენლის ცნობით,

<sup>26</sup> განსაკუთრებით იმ ხალხისგან, რომლებიც ადრე ქვემო ქართლში ცხოვრობდნენ, ამჟამად კი თურქეთში ბინადრობენ.

<sup>27</sup> ECMI-ს ინტერვიუ ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებრივი გაერთიანება 'ტოლერანსის' თავმჯდომარე ელბრუს მამედოვთან, თბილისი, ივლისი, 2011.

<sup>28</sup> ECMI -ს ინტერვიუ, თბილისი, ივლისი, 2011 წ.



იმის გამო, რომ ყუმში სწავლობდნენ, აჰლ ულ-ბეითის ხელმძღვანელები და მასწავლებლები მოექცნენ “ისლამის ირანული ინტერპრეტაციის” ზეგავლენის ქვეშ. მისი აზრით, მათ მიერ დასახული მიზნები არცთუ ისე კეთილსაიმედოა და შიშობს, რომ ისინი დიდ ზეგავლენას მოახდენენ მარნეულის აზერბაიჯანელი მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე. “ისინი ცდილობენ შეიტანონ ირანის რელიგიური იდეები [მარნეულის] საზოგადოებაში. მათი მედრესე და ოფიციალური მიზანი, უზრუნველყონ რელიგიური განათლების მიცემა, არის მხოლოდ და მხოლოდ ფარდა, რომლის უკანაც უმთავრესად პოლიტიკური მიზნებია ამოფარებული. ისინი იღებენ ფულს ირანის რელიგიური ორგანიზაციებიდან და ავრცელებენ ისლამს საკუთარი ინტერპრეტაციით, რაც კონკრეტულად წარმოადგენს შიიზმის ირანულ ინტერპრეტაციას. ეს არის რადიკალური პოლიტიკური შიიზმი.”<sup>29</sup>

ასევე, აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის დირექტორის აზრით, ‘ირანული’ ორგანიზაციები ქველმოქმედებისა და განათლების საფარქვეშ მალავენ პოლიტიკურ ზრახვებს: “მათი მთავარი მიზანია ირანული პოლიტიკის გავრცელება აქაურ მუსლიმებს შორის.”<sup>30</sup> მაგალითად, *ჰეირატის* წარმომადგენელი ზუმრუდ კურბანოვი ამტკიცებს, რომ აჰლ ულ-ბეითში სწავლობენ ირანული წიგნებიდან, ხეიმობენ შიიტურ

<sup>29</sup> იგივე წყარომ მოგვიანებით დაუმატა: “რელიგიური სკოლები იქმნება აზერბაიჯანელებით დასახლებულ ადგილებში და მათ არა აქვთ ოფიციალური სტატუსი. მათი ოფიციალური მიზანია რელიგიური განათლების უზრუნველყოფა, თუმცა, ჭეშმარიტი ისლამის სწავლება მხოლოდ შირმაა, რომლის უკანაც პოლიტიკური მიზნები იმალება. შეიქმნა ასევე რაიონული დონის, არაოფიციალური ე. წ. “პატარა სკოლები”, სადაც იკრიბებიან ადგილობრივი ახალგაზრდები, რომლებიც ყუმში სწავლობდნენ. მათ ფინანსურ დახმარებას უწევენ ირანული რელიგიური ორგანიზაციები, რომელთა მიზანია ისლამის საკუთარი ინტერპრეტაციის, ანუ რადიკალური შიიზმის გავრცელება. ECMI-ის ინტერვიუ და შემდგომი მიწერ-მოწერა მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენელთან, თბილისი, აგვისტო, დეკემბერი, 2011.

<sup>30</sup> ECMI -ს ინტერვიუ აზერბაიჯანის კულტურის ცენტრის *ვარლიქ* - ის დირექტორთან, თბილისი, აგვისტო, 2011 წ.

დღესასწაულებს და აიათოლა ხომეინის დაბადების დღეც კი აღნიშნეს. “ეს არ არის რელიგია, ეს პოლიტიკაა,”<sup>31</sup> განაცხადა მან. ‘ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის’ 2005 წლის სტატიაში ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ საქართველოს აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ “მათ თვალწინ განიცადა ცვლილება და თავდაყირა დააყენა ათწლეულებისა და შესაძლოა საუკუნეების მანძილზე არსებული რელიგიური და კულტურული ტოლერანტობა.”<sup>32</sup> იქ ნათქვამია, რომ სულ უფრო და უფრო ხშირად შეინიშნებოდნენ მარნეულის ქუჩებში ირანული სტილის თავსაბურავით შემოსილი ქალები, და ასევე, რომ შიიტებს მოუწოდებდნენ შეკრულიყვნენ “ერთ მუშტად”.<sup>33</sup>

საქართველოს მთავრობას თავსატეხი გაუჩინა, ასევე, აზერბაიჯანში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა. 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის მაისამდე აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ადგილი ჰქონდა აკრძალული ‘*აზერბაიჯანის ისლამური პარტიის*’ გამოსვლებს *დე ფაქტო* მთავრობის წინააღმდეგ, იმის გამო, რომ მან აკრძალა ისლამური თავსაბურავების ტარება სკოლებსა და უნივერსიტეტებში.<sup>34</sup> ირანელი

<sup>31</sup> ECMI-ის ინტერვიუ სახალხო მოძრაობა *ჰეირატის* წარმომადგენელთან ზუმრუდ კურბანოვთან, მარნეული, აგვისტო, 2011 წ.

<sup>32</sup> საქართველო: ირანელ მისიონერთა მუშაობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი, 17 ნოემბერი, 2005. <http://iwpr.net/report-news/georgia-iranian-missionary-work-questioned>

<sup>33</sup> იქვე. იხ. აგრეთვე: Islamic and Ethnic Identities in Azerbaijan: Emerging trends and tensions, OSCE Discussion Paper, Hema Kotecha, July 2006. Available at: <http://www.osce.org/baku/23809>.

<sup>34</sup> *აზერბაიჯანი: ჩადრების აკრძალვა სკოლებში იწვევს დებატებს ბაქოში ისლამის როლთან დაკავშირებით. Azerbaijan: Hijab Ban in Schools Fuels Debate in Baku on role of Islam*, Eurasianet.org, 6 January 2011, <http://www.eurasianet.org/node/62670>.

ამ სტატიაში აღნიშნულია, ასევე, რომ “ისლამის აღორძინება აზერბაიჯანში ჩვეულებრივი მოვლენაა.” მაგალითად, ახლა ბევრ დიდ კომპანიას და არასამთავრობო ორგანიზაციას თავიანთ ოფისებში აქვთ სპეციალური ოთახი, სადაც მორწმუნეებს სამუშაო საათებში შეუძლიათ შეასრულონ ღოცვის რიტუალი, ხოლო ბაქოს ქუჩებში დადიან ტრადიციულ



სასულიერო პირები აღაშფოთა აზერბაიჯანის მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ და მათ მოუწოდეს აზერბაიჯანელებს გამოეთქვათ პროტესტი მის წინააღმდეგ. ერთ-ერთმა ირანელმა მაღალი რანგის სასულიერო პირმა, აიათოლა ნასარ მაკარემ შირაზიმ პირდაპირ მოუწოდა აზერბაიჯანელ ხალხს უარი ეთქვა ამ აკრძალვაზე და გამოეხატა წინააღმდეგობა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზით.<sup>35</sup>

არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ირანის მთავრობა აფინანსებს აზერბაიჯანის ისლამურ პარტიას, იმ მიზნით, რომ დესტაბილიზაცია შეიტანოს აზერბაიჯანის მთავრობაში. აზერბაიჯანის ყოფილმა ელჩმა ირანში, ნასირ ნასიბლიმ 24 მარტის ინტერვიუში განაცხადა, “ირანს არ უნდა, რომ იხილოს აზერბაიჯანში დემოკრატიული, დასავლური სტილის სისტემა, მას სურს, ის გახდეს პრო-ირანული ისლამისტური ქვეყანა.”<sup>36</sup> 2011 წლის 7 იანვარს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დააპატიმრა ისლამური პარტიის ხელმძღვანელი მოვსუმ სამადოვი მთავრობის დამხობის მცდელობის ბრალდებით. ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ელჩინ მანაფოვი უარყოფს ბრალდებას მისი პარტიის მიმართ და აცხადებს, რომ ისინი

თავსაბურავებში გახვეული ქალები. იმის გამო, რომ აზერბაიჯანის კონსტიტუცია ითვალისწინებს რელიგიის თავისუფლებას, სკოლებში პიჯაბის (თავსაბურავების) აკრძალვის განხორციელების მიზნით განათლების სამინისტრომ მოიშველია კანონი განათლების შესახებ, რომელშიც მითითებულია, რომ საჯარო სკოლის მოსწავლეებმა უნდა ატარონ ფორმები.

<sup>35</sup> აზერბაიჯანი: დაპირისპირება ისლამური თავსაბურავების აკრძალვის გამო წარმოშობს შიშს ირანის ჩარევასთან დაკავშირებით. *Azerbaijan: Feud over ban on Islamic head scarves fuels fears of Iranian meddling*, Los Angeles Times Blog (Babylon & Beyond), 30 December 2010, <http://latimesblogs.latimes.com/babylonbeyond/2010/12/azerbaijaniran-hijab-ban-school-girls-iran-cleric-fatwa-ideology-islam-war.html>.

<sup>36</sup> ირანის ზეგავლენამ აზერბაიჯანში შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბი-პი-ს ნავთობის ინვესტიციებზე; *Iran Influence in Azerbaijan May Unsettle BP's Oil Investments*, Bloomberg, 31 March 2011, <http://www.bloomberg.com/news/2011-03-30/iran-influence-in-azerbaijan-may-unsettle-bp-s-oil-investments.html>.

სარგებლობენ მხოლოდ ირანის ‘მორალური’ მხარდაჭერით.<sup>37</sup>

მნიშვნელოვანია, რომ 2010 წლის სექტემბერში აჰლ ულ-ბეითმა მოაწყო სანქცირებული დემონსტრაცია მარნეულში იმასთან დაკავშირებით, რომ სომეხი მღვდელი გეგმავდა მოეწოდებინა ხალხისთვის დაეწვათ ყურანის ეგზემპლარები.<sup>38</sup> ‘ჯორჯია ონლაინ’-ის ცნობით, 2010 წლის 14 სექტემბერს 500-600 ადამიანი მარნეულში აჰლ ულ-ბეითის შენობიდან დაიძრა ქალაქის იმამ ალის მეჩეთისკენ მოწოდებებით: “ალაჰი დიდა, არ არსებობს სხვა ღმერთი, თვინიერ ალაჰისა. ყურანი არის ბედნიერებისა და სიბრძნის წიგნი.”<sup>39</sup> 2010 წლის დეკემბერში, აჰლ ულ-ბეითმა კვლავ მოაწყო საპროტესტო მიტინგები, ამჯერად ‘პიჯაბის (ჩადრის) აკრძალვის’ საწინააღმდეგოდ, რომელიც დაემთხვა ბაქოში გამართულ საპროტესტო აქციებს. *პეირატის* წარმომადგენლის, ზუმრუდ კურბანოვის სიტყვებით,

<sup>37</sup> იქვე; მას შემდეგ, რაც ეგვიპტესა და არაბულ ქვეყნებში საპროტესტო ტალღამ იფეთქა, აზერბაიჯანის მთავრობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს ნებისმიერი სოციალური მღვდლარების მიმართ. იანვარში დააპატიმრეს 20 წლის აქტივისტი, რომელმაც Facebook-ის თავის გვერდზე განათავსა მოწოდება მოეწყოთ ეგვიპტური სტილის საპროტესტო მიტინგები ბაქოს ცენტრალურ მოედანზე. აზერბაიჯანში, ისევე როგორც თუნისსა და ეგვიპტეში, საზოგადოების უკმაყოფილების მთავარ მიზეზად მიჩნეულია კორუფცია მთავრობაში, ნეპოტიზმი და სიტყვის თავისუფლების მკაცრი შეზღუდვა. 2010 წელს ორგანიზაცია Transparency International-ის მიერ შეგროვილი ინფორმაციის მიხედვით, აზერბაიჯანი 178 ქვეყანას შორის აღმოჩნდა 134-ე ადგილზე კორუფციის მაჩვენებლის მიხედვით. *Azerbaijan: Egypt-inspired protests spread to Caucasus, raising tensions*, Los Angeles Times blog (Babylon & Beyond), 10 February 2011, <http://latimesblogs.latimes.com/babylonbeyond/2011/02/azerbaijan-egypt-inspired-protests.html>.

<sup>38</sup> ყურანის დაწვით გამოწვეული საპროტესტო გამოსვლები მთელ მუსლიმურ სამყაროში. იხ. მაგ.: *Petraeus condemns Quran burning as protests rage on*, CNN World, 3 April 2011, [http://articles.cnn.com/2011-04-03/world/afghanistan.protests\\_1\\_quran-protests-rage-pastor-terry-jones/2?\\_s=PM:WORLD](http://articles.cnn.com/2011-04-03/world/afghanistan.protests_1_quran-protests-rage-pastor-terry-jones/2?_s=PM:WORLD).

<sup>39</sup> საქართველოს აზერბაიჯანელებმა გამართეს საპროტესტო აქცია ყურანის შეურაცხყოფის გამო, 14 სექტემბერი, 2010 წ. <http://www.apsny.ge/2010/soc/1284522018.php>.



საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა ათასამდე ადამიანი, რომლებმაც მსვლელობა მოაწვეს მარნეულის ქუჩებში. მათ ხელში პლაკატები ეჭირათ და საპროტესტო მოწოდებებს გაიძახოდნენ. მან დაადასტურა ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ აქლ ულ-ბეითმა საპროტესტო გამოსვლის მასალები გაუგზავნა ირანის ხელმძღვანელობას. აზერბაიჯანის ისლამური ახალი ამბების ინტერნეტ-გვერდზე *დეიებერ-ზე* განთავსებული იყო ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ დემონსტრანტებს მოჰქონდათ შემდეგი შინაარსის პლაკატები: “*ჰიჯაბი* არის მამაცობისა და პატიოსნების სიმბოლო”.<sup>40</sup>

კითხვაზე, თუ რატომ აპროტესტებდნენ აზერბაიჯანში ან ამერიკაში განვითარებულ მოვლენებს, აქლ ულ-ბეითმა შემდეგი პასუხი გასცა: “ისლამი არ იყოფა სახელმწიფო საზღვრებით, ის ტრანსნაციონალურია და ამგვარად, ის რაც ხდება აზერბაიჯანში, ან ნებისმიერ სხვა ადგილზე, ჩვენ ისევე გვაწუხებს, როგორც ჩვენივე სახლის კართან მომხდარი ამბავი.”<sup>41</sup> ამ ინციდენტებმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია საქართველოს მთავრობაში, რადგან, როგორც აღმოჩნდა, აქლ ულ-ბეითს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობაზე და სურდა და შეეძლო მათი მობილიზება. “საქართველო არის ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი, ამიტომ, ჩვენ უნდა შევზღუდოთ ირანის ზეგავლენის გავრცელება საქართველოში,” განაცხადა მთავრობის ერთმა მაღალჩინოსანმა და ჩამოთვალა ის პრინციპული საკითხები, რომელთა გამოც მიიღო მთავრობამ გადაწყვეტილება ახალი, ქართული სპეციფიკის, მუსლიმური სამმართველოს შექმნის შესახებ.<sup>42</sup>

<sup>40</sup> *Gürcüstan azərbaycanlılarının Tasua yürüşündə "Hicaba azadlıq!" səsləndi* [საქართველოს აზერბაიჯანელების მსვლელობისას გაისმოდა მოწოდებები “ჰიჯაბის თავისუფლება,” 15 დეკემბერი, 2011, *Dayəber Azerbaijan Islam News*, <http://deyerler.org/73675-gurcistan-azerbaycanlilarinin-tasua-yurusunde-hicaba-azadliq-seslendi.html>.

<sup>41</sup> ECMI-ის ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა აქლ ულ-ბეითის წარმომადგენლებთან, მარნეული, ივლისი, 2011.

<sup>42</sup> ECMI-ის ინტერვიუ მთავრობის მაღალჩინოსნებთან, თბილისი, აგვისტო, 2011 წ. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში საქართველო-

თავად აქლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობა კი ამტკიცებს, რომ ისლამის ის ფორმა, რომელსაც ისინი ასწავლიან, მთლიანად მშვიდობიანი და ტოლერანტულია, ამავე დროს, “ის ისეთივე წმინდაა, როგორც იყო წინასწარმეტყველის დროს.” მათი განწყობა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისა და რელიგიური ჯგუფების მიმართ როგორც ჩანს, მეტად ტოლერანტული და ფრთხილია. “ჩვენ ყველა რელიგიას ვცემთ პატივს თვით ‘ვაჰაბიტებსაც’ კი, ამბობენ ისინი, “თუმცა ისინი [ვაჰაბიტები] იგივეს არ გამოხატავენ ჩვენს მიმართ. ჩვენი კარი ღიაა ყველასთვის, როგორც სუნიტების, ისე შიიტებისათვის. ქრისტიანებსაც შეუძლიათ აქ ისწავლონ, თუკი ამის სურვილი ექნებათ.”<sup>43</sup> ისინი ხაზს უსვამენ ასევე იმას, რომ პატივს სცემენ საქართველოს მთავრობას და ერთგულნი არიან მისი. მთავრობაც, მათი რწმენით, აქამდე კარგად ექცეოდა მათ. მათი სიტყვებით, საერთაშორისო რელიგიურ კონფერენციებზე ისინი ყოველთვის “დადებითად ახასიათებდნენ მას [საქართველოს მთავრობას] და საქართველოს აზერბაიჯანელების მდგომარეობას [ქვემო ქართლში].”<sup>44</sup>

გარდა ამისა, აქლ ულ-ბეითს კიდევაც რომ ჰქონდეს ზოგიერთი პოლიტიკური მიზნის განხორციელების სურვილი საქართველოში, მისი ზეგავლენა მარნეულის მოსახლეობაზე შეზღუდულია. *ჰეირატის* წარმომადგენლის მტკიცებით 2010 წელს აქლ ულ-ბეითის მიერ ორგანიზებული დემონსტრაციები ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს მისი ზეგავლენა უფრო მეტი იყო ვიდრე სინამდვილეში, მაგრამ რეალობა სხვაგვარია: “ამდენი ხალხი იმიტომ გამოვიდა ქუჩაში, რომ ამ საკითხმა [ყურანის ეგზემპლარების დაწვამ] დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, ისინი აღაშფოთა ამ კონკრეტულმა საკითხმა, რაც სულაც არ მიუთითებს აქლ ულ-ბეითის ზეგავლენაზე.

ირანის ურთიერთობები გაუმჯობესდა და ამჟამად ამ ორ ქვეყანას შორის მოქმედებს უვიზო რეჟიმი. იხ.: *Iranian FM on 'Historic' Visit to Georgia*, Civil Georgia, 3 November 2010, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=22812>.

<sup>43</sup> ECMI-ის ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა აქლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობასთან, მარნეული, ივლისი, 2011 წ.

<sup>44</sup> იქვე.



სხვა შემთხვევაში, ორიოდ ასეული მხარდამჭერი თუ გამოვიდოდა გასაპროტესტებლად.<sup>45</sup>

მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ გამოთქმული იყო შემოფოტება ჩადრის ტარებასთან დაკავშირებით, დღეს იშვიათად თუ ნახავთ მარნეულის რაიონში ჩადრიან ქალებს.<sup>46</sup> ადგილობრივი ექსპერტების აზრით, ზოგადად იქაური მოსახლეობა ნაკლებად არის დაინტერესებული რელიგიური იდეებით და აპლ ულ-ბეითის ზეგავლენის სფერო რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ შეზღუდულია. არსებობს, ასევე, აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ირანის პოლიტიკა ქვეყნის ჩრდილოეთით მცხოვრები აზერბაიჯანელთა უმცირესობის დიდი ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციულია.<sup>47</sup> სწავლულთა ერთი ჯგუფის ხელმძღვანელის აზრით აზერბაიჯანსა და ირანს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა: [ირანელ აზერბაიჯანელებს] აკრძალული ჰქონდათ თავიანთი შვილებისათვის აზერბაიჯანული სახელების დარქმევა. ირანის კულტურული ცხოვრება აიძულებდა აზერბაიჯანელებს გამხდარიყვნენ

<sup>45</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებთან (*პეირატი*), მარნეული, ივლისი, 2011 წ.

<sup>46</sup> ზუმრედ კურბანოვი ამტკიცებს, რომ ზოგი დასცინის კიდევ იმ კაცს, რომლის ცოლიც ჩადრს ატარებს, თუმცა, ისინი ამას ვერ გაუბედავდნენ გავლენიან და ძლიერ ადამიანებს. ამასთან, თავისთავად, ჩადრი არ წარმოადგენს გაძლიერებული რელიგიურობის სიმბოლოს. ეუთო-ს სადიკუსიო მოხსენებაში, ჰემა კოტეჩა, ხაზს უსვამს ამგვარი ნიშნების ინტერპრეტაციის სირთულეს და წერს, რომ ქალები თავსაბურავებს ატარებენ სხვადასხვა მიზეზით, როგორცაა: ოჯახის მხრიდან ზეწოლა რელიგიური მიზეზების გამო, თავდაცვის საჭიროება, ან ნიშანი იმისა, რომ ისინი მიეკუთვნებიან ამა თუ იმ კონფესიას ან ეთნიკურ ჯგუფს. ასევე, ის საშუალებას აძლევს ქალს უფრო თავისუფლად მოიქცეს ხალხში და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი, რადგან თავსაბურავი იცავს მას უსიამოვნო ურთიერთობებისგან და მისი საქციელის დამამცირებელი შეფასებისგან ან უარყოფითი ინტერპრეტაციისგან. ECMI-ის ინტერვიუ ჰემა კოტეჩასთან, თბილისი, ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>47</sup> ECMI-ის სატელეფონო ინტერვიუ რეგიონულ ექსპერტთან, ნოემბერი, 2011 წ.

სპარსელები.<sup>48</sup> ყოველივე ამის გამო ბევრი აზერბაიჯანელი ეჭვის თვალთ უყურებს ირანს და შესაძლოა მათ არ მოსწონთ ირანის ზეგავლენა ამ რეგიონში.<sup>49</sup>

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მისი რელიგიური იდეების ზეგავლენა შესაძლოა შეზღუდული იყოს, აპლ ულ-ბეითის ხელმძღვანელები ადგილობრივ საზოგადოებაში ცნობილი არიან თავიანთი განათლების, ცოდნის და ინფორმირებულობის მაღალი დონით. ამასთან, ისინი უკვე დიდი ხანია მარნეულში მუშაობენ და ამგვარად, ნდობითა და პატივისცემით სარგებლობენ იქ. ამ გარემოებათა გამო, ზოგიერთ ადგილობრივ ექსპერტს მიაჩნია, რომ აპლ ულ-ბეითს შესწევს უნარი “გააერთიანოს მარნეულის მოსახლეობა.”<sup>50</sup>

### ზეგავლენა (iii) სალაფიზში (ვაჰაბიზში)

კიდევ ერთი რელიგიური დემარკაციის ხაზი ქართულ ისლამში გადის ტრადიციული ისლამის და შიიზმის მიმდევრებსა, და რეფორმისტულ სალაფიზმს შორის. სალაფიტების რაოდენობა საქართველოში შედარებით ნაკლებია, თუმცა, ბოლო წლებში მათმა რიცხვმა იმატა და როგორც ფიქრობენ, შემდგომში კიდევ მოიმატებს. სალაფიზში, სუნიტური ისლამის ფუნდამენტალისტური განშტოება, ისლამის პირველ სამ თაობას უყურებს, როგორც დროს, როდესაც ისლამი იყო წმინდა, ნამდვილი და ჭეშმარიტი და მის საფუძველზე ახდენს ისლამის ‘ნამდვილ’ ინტერპრეტაციას და ღვთისმსახურების აღსრულებას. ის უარყოფს ოთხ საღვთისმეტყველო-სამართლებრივ სკოლას, იცავს მკაცრ დრეს-კოდს და გაურბის ოფიციალურ ორგანიზაციებს, რადგან ყოველივე ამას თვლის ხელისშემშლელად ღვთისმსახურების გზაზე. სალაფიტებს ხშირად ვაჰაბიტებსაც უწოდებენ, რასაც ბევრი მათგანი დამამცირებლად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ კავშირი ვაჰაბიზმსა და სალაფიზმს შორის სადაგოა,

<sup>48</sup> *აზერბაიჯანელები გრძნობენ ირანის ზეწოლას; Azeris feel Iranian pressure*, BBC News, 16 February 2010, <http://news.bbc.co.uk/2/hi/8516682.stm>.

<sup>49</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ აზერბაიჯანელებთან, მარნეული და სადახლო, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>50</sup> ECMI -ს ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან, მარნეული, ივლისი-აგვისტო, 2011 წ.



ფაქტობრივად ვაჰაბიზმი არის სალაფიზმის 'ულტრაკონსერვატორული' მიმდინარეობა, რომელიც ეფუძნება არაბი სწავლულის მუჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბის (1703-1792) მოძღვრებას.<sup>51</sup> ალ-ვაჰაბი ცდილობდა გაეწმინდა ისლამი იმისგან, რასაც ის თვლიდა არასრულყოფილად და ნოვაციად მისი დროის ისლამურ პრაქტიკაში. დღეისათვის ვაჰაბიზმი, აღიარებულია საუდის არაბეთში და ასოცირდება ისლამის ყველაზე მკაცრ ინტერპრეტაციასთან (თუმცა, იქ უარყოფენ ამას) და გლობალურ ტერორიზმთან, ასევე, ისლამურ აჯანყებასთან ჩრდილოეთ კავკასიაში.

ეს ტერმინი ჩვეულებრივ იხმარება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ნებისმიერი დეთისმოსავი მუსლიმის მიმართ, ან როგორც ერთერთი რეგიონული ექსპერტი ამბობს, "ნებისმიერი იმ მუსლიმის მიმართ, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს."<sup>52</sup> ამგვარად, ხშირად ის გამოიყენება პოლიტიკური ქვეტექსტით. ერთ-ერთი ეს ულვი მამედოვის, აზრით "ბევრი ფიქრობს, რომ სალაფიზმი და ვაჰაბიზმი ერთი და იგივეა. იმისათვის, რომ განასხვავო ერთმანეთისგან, ღრმად მორწმუნე უნდა იყო; ამას კი წლები სჭირდება," თან დაამატა: "არავინ მოიხსენიებს საკუთარ თავს ვაჰაბიტად, ეს იარღიფია, რომელიც მოგვაწვება ჩვენ. საქართველოში შიიტები ყველა სუნიტს ვაჰაბიტს უწოდებენ."<sup>53</sup>

ფიქრობენ, რომ საქართველოს აზერბაიჯანელ მოსახლეობაში სალაფიზმი აზერბაიჯანიდან შემოვიდა, სადაც, დადგენილი მონაცემებით მას 10000-20000

მიმდევარი ჰყავს.<sup>54</sup> აზერბაიჯანში კი სალაფიზური ისლამი შემოიტანეს მისიონერებმა, ახალგაზრდა აზერბაიჯანელებმა, რომლებიც სწავლობდნენ საუდის არაბეთში, ქუევიტში ან ეგვიპტეში, აგრეთვე მომლოცველებმა, რომლებიც *ჰაჯის* რიტუალის შესასრულებლად ჩადიოდნენ მექაში 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში.<sup>55</sup> 1990-იან წლებში ქვემო ქართლში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების გამო საქართველოს აზერბაიჯანელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა აზერბაიჯანში გადავიდა საცხოვრებლად. ბაქოში ბევრი მათგანი მოექცა სალაფიზმის ზეგავლენის ქვეშ, ხოლო უკან დაბრუნებულებმა ეს იდეები და კავშირები საქართველოში შემოიტანეს. ზოგიერთმა მათგანმა კი დაიწყო სხვების გადმოყვანა ამ რწმენაზე.

თვითონ მამედოვი არის ეთნიკური აზერბაიჯანელი ფონიჭალიდან, თბილისის გარეუბნიდან. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ის იყო შიიტი მუსლიმი, ისევე როგორც ყველა აზერბაიჯანელი იმ დროს, და ცოტა რამ თუ იცოდა საკუთარი რელიგიის შესახებ. პოსტ-საბჭოთა პერიოდში რელიგიის აღორძინებასთან ერთად, მისი სიტყვებით, მან სულ უფრო და უფრო მეტი რამ შეისწავლა ისლამის შესახებ და საბოლოოდ გახდა სალაფიტი, ანუ სუნიტი. ის არ თვლის საკუთარ თავს ადგილობრივ ლიდერად და ამბობს, რომ მას მეზობლად ყველა იცნობს და იციან, რომ მან ბევრი რამ იცის ისლამის შესახებ: "როდესაც რაიმე აინტერესებთ, ისინი მოდიან ჩემთან და მე მათ ვეხმარები."<sup>56</sup> ამგვარად, მისი სიტყვებით ის ავრცელებს ისლამის 'წმინდა' ინტერპრეტაციას.

სალაფიზმი ამ რეგიონში არ უნდა იყოს პოლიტიკური. 2008 წელს 'კრიზისის

<sup>51</sup> კრიზისის ჯგუფი წერს, რომ *ჰანბალიტური მაჰაბიტი*, ანუ სკოლა (ყველაზე კონსერვატიული ოთხი *მუსლიმური მაჰაბიტიდან*), წარმოადგენდა ალ-ვაჰაბის მოძღვრების საფუძველს ცენტრალურ არაბეთში მე-18 საუკუნის შუა წლებში, ხოლო ვაჰაბიზმი, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც აღორძინებული ჰანბალიზმი არაბულ კონტექსტში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: Understanding Islamism, Middle East/North Africa Report N°37, 2 March 2005, მისამართზე:

<http://www.crisisgroup.org/~media/Files/Middle%20East%20North%20Africa/North%20Africa/Understanding%20Islamism.pdf>.

<sup>52</sup> ECMI-ის სატელეფონო ინტერვიუ რეგიონულ ექსპერტთან პოლ გობლთან, ივლისი 2011 წ.

<sup>53</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ სალაფიტ თაკვაცთან ულვი მამედოვთან, თბილისი, აგვისტო 2011 წ.

<sup>54</sup> *Azerbaijan: Sunni Groups Viewed With Suspicion*, Institute for War and Peace Reporting, 8 April 2011. Available at: <http://www.unhcr.org/refworld/docid/4da3f66a2c.html>. In 2008, International Crisis Group estimated 10,000 as a likely maximum in Azerbaijan.:

<sup>55</sup> *Azerbaijan: Independent Islam and the State*, Europe Report N°191, 25 March 2008. Available at: [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191\\_azerbaijan\\_independent\\_islam\\_and\\_the\\_state.pdf](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191_azerbaijan_independent_islam_and_the_state.pdf).

<sup>56</sup> ECMI-ის ინტერვიუ სალაფიტთა ადგილობრივ თაკვაცთან ულვი მამედოვთან, თბილისი, აგვისტო 2011 წ.



ჯგუფი' ამტკიცებდა, რომ აზერბაიჯანელი სალაფიტების უმრავლესობა არის მორწმუნე მუსლიმი, რომლებსაც პურისტული მიდგომა აქვთ ისლამის მიმართ. მათ არა აქვთ პოლიტიკური მისწრაფებები და ზოგადად, კარგი ურთიერთობა აქვთ აზერბაიჯანის მთავრობასთან.<sup>57</sup> ასევე, ქართველ სალაფიტებს ჩვეულებრივ კარგი ურთიერთობა აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთან და როგორც ჩანს არ გააჩნიათ პოლიტიკური მიზნები. თუმცა, ურთიერთობა სალაფიტებსა და შიიტ აზერბაიჯანელებს შორის ხშირად დაძაბულია.<sup>58</sup> მაგალითად, არ არსებობს კავშირი მამედოვისა და ფონიჭალაში ახლად აშენებული შიიტური მეჩეთის თავკაცებს შორის.<sup>59</sup> ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, მიუხედავად იმისა, რომ ნათესავეები არიან და ერთ ქალაქში ცხოვრობენ. მეჩეთის *ახუნდის* სიტყვებით, ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან იმის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში მათ შორის თავს იჩენს ხოლმე უთანხმოება, რაც კამათით მთავრდება.<sup>60</sup> მამედოვი ამტკიცებს, რომ უთანხმოების მიზეზია ისლამური თეოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები,

<sup>57</sup> Azerbaijan: Independent Islam and the State, Europe Report N°191, 25 March 2008. Available at: [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191\\_azerbaijan\\_independent\\_islam\\_and\\_the\\_state.pdf](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191_azerbaijan_independent_islam_and_the_state.pdf).

<sup>58</sup> ორი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი ქვემო ქართლის სოფ. სადახლოდან ამტკიცებდა, რომ “ვაჰაბიზმი არ არის ისლამის ნაწილი და ის შექმნეს ისლამის მტრებმა.” ECMI-ის ინტერვიუ სოფ. სადახლოს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებთან, თბილისი, ივნისი, 2011 წ. ეს უკავშირდება ამბავს ბრიტანელ ჯაშუშზე, ჰემფერზე, რომელსაც ხშირად ახსენებენ საქართველოს აზერბაიჯანელები, თითქოს ის ბრიტანეთის მთავრობამ შეუშვა ახლო აღმოსავლეთში, რათა ყველაფერი გაეკეთებინა ოსმალეთის იმპერიის დასასუსტებლად. მან, გადმოცემით, შეისწავლა და გააგრძელა ვაჰაბიტების დოქტრინა, რათა განხეთქილება შეეცანა მუსლიმ მოსახლეობაში. გამოქვეყნებული იქნა, ასევე, წიგნი სათაურით *ბ-ნ ჰემფერის მოვლენები*, როგორც ამ ისტორიის პირველწყარო. ზოგადად, ეს ამბავი გამოვლილად არის მიჩნეული.

<sup>59</sup> ამ მეჩეთის მშენებლობა ახლახანს დასრულდა ერთერთი ერაყელი აიათოლას დახმარებით. ის გაიხსნა 2011 წლის 17 ივლისს.

<sup>60</sup> ECMI-ის ინტერვიუ შიიტური მეჩეთის ხელმძღვანელთან, ფონიჭალა, აგვისტო, 2011 წ.

როგორცაა, მაგალითად, სახალიფოს მნიშვნელობა.

თბილისის ჯუმა მეჩეთში, ერთმა ეთნიკურმა აზერბაიჯანელმა მლოცველმა, რომელსაც წვერი და აკეცილი შარვლის ტოტები ჰქონდა,<sup>61</sup> თავის თავს სალაფიტი უწოდა, მაგრამ მტკიცედ უარყო რაიმე კავშირი ‘ვაჰაბიტებთან’. მან თქვა, რომ ის არ შევა ფონიჭალის შიიტურ მეჩეთში. “ისინი მე ტერორისტს მეძახიან,” თქვა მან.<sup>62</sup> ის ხაზს უსვამდა ისლამის მშვიდობიან ხასიათს, ამავე დროს ის და მისი მეგობრები ცდილობდნენ თავიანთ რწმენაზე გადაეყვანათ ადამიანები. 33 წლის ასაკში ის უმუშევარი იყო, ძალიან სურდა საქართველოდან გამგზავრება და ირწმუნებოდა, რომ ქართველები მას არასოდეს მისცემდნენ სამსახურს.<sup>63</sup>

საქართველოში სავარაუდოდ უნდა ცხოვრობდეს 400-მდე ადამიანისგან შემდგარი ერთგული სალაფიტების ძირითადი ჯგუფი,<sup>64</sup> ისინი, ვინც მნიშვნელოვანი დრო შეაღია თვითგანათლებას ან სწავლობდა საზღვარგარეთ სალაფიზმის სასწავლო ცენტრებში ახლო აღმოსავლეთში, და ასევე, 15-16-დან 35 წლამდე ადამიანების უფრო დიდი ჯგუფი, რომლებმაც ახლახანს მიიღეს სალაფიზმი, მაგრამ სავარაუდოდ ნაკლებ ერთგულნი არიან მისი. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციით, ქვემო ქართლში მცხოვრები ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მამაკაცების 20 პროცენტმა უკვე მიიღო სალაფიზმი.<sup>65</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ

<sup>61</sup> როგორც წვერის მოშვება, ისე შარვლის ტოტების აკეცვა დამახასიათებელია “ვაჰაბიტებისათვის.” ორივე ეს ქმედება გადმოდებულია წინასწარმეტყველი მუჰამედისგან. შარვლის ტოტების აკეცვით ისინი თავს იცავენ ჭუჭყისგან.

<sup>62</sup> ECMI-ის ინტერვიუ სალაფიტ მლოცველებთან ჯუმა მეჩეთში, თბილისი, ივნისი, 2011.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> ეს ციფრი მოგვაწოდებს აჰლ ულ-ბეითის წარმომადგენლებმა. რეგიონული ექსპერტის პოლ გობლის აზრით, რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხდება “ვაჰაბიტის” განმარტება. ის აღნიშნავს, რომ საქართველოში ცოტაა “წმინდა” ვაჰაბიტი. ECMI-ის სატელეფონო ინტერვიუ პოლ გობლთან, რეგიონულ ექსპერტთან, ივლისი, 2011 წ.

<sup>65</sup> ECMI-ის ინტერვიუ ქვემო ქართლის სოფ. სადახლოს არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებთან, თბილისი, ივნისი 2011 წ.



ინფორმაციის სისწორის დადგენა ძნელია, აქლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ “ვაჰაბიზმს განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა აქვს ახალგაზრდებზე.”<sup>66</sup>

აქლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობის აზრით, რწმენას უფრო ხშირად იცვლიან ადამიანები ღარიბი ოჯახებიდან ან უმუშევრები. გადმოცემით, მათი სალაფიზმით დაინტერესება აიხსნება იმით, რომ მათ პირდებიან ფულს ან სამუშაოს.<sup>67</sup> როგორც ერთი მთავრობის მაღალჩინოსანი ირწმუნებოდა, ვაჰაბიტების მეხეთში ლოცვის დაწყების წინ ახალგაზრდებს აძლევდნენ ნაღდ ფულს 200-300 აშშ დოლარის ოდენობით (დაახლოებით 145-215 ევრო).<sup>68</sup> აქლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობა ასევე დარწმუნებულია, რომ ვაჰაბიტი მქადაგებლები თავდაპირველად არ აჩვენებენ სალაფიზმს არატოლერანტული კუთხით და ხატავენ მას როგორც სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებულ სარწმუნოებას. მათ რწმენაზე ახლად გადმოსულებს შემდეგ ნელა შთააგონებენ საჭირო აზრებს. იმის გამო, რომ ახალგაზრდები არიან და ხშირად ისლამის შესახებ მწირი ცოდნა გააჩნიათ, მათ სჯერათ იმის, რასაც ეუბნებიან და მათზე ზემოქმედება ადვილია.

თბილისში დაფუძნებული სალაფიტები უარყოფენ ამ აზრს, ამავდროულად, სიტუაცია პანკისის ხეობაში, სადაც განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი სალაფიზმმა, ადასტურებს ამ ბრალდებებიდან ზოგიერთს მაინც. პანკისში სალაფიზმი განვითარდა ადგილობრივი ქისტი მაცხოვრებლების რელიგიის ისლამის ტრადიციული ფორმის საპირისპიროდ. ისლამის ეს ტრადიციული ფორმა, რომელსაც მისდევენ მთელ კავკასიის რეგიონში, განიცდის როგორც სუფიური, ისე უძველესი წარმართული რიტუალების ზეგავლენას. სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის დირექტორის, მამუკა არეშიძის აზრით, ტრადიციულ ისლამს ბევრი აქვს საერთო ტრადიციულ ქრისტიანობასთან, რადგან ის იმავე რეგიონში ვითარდებოდა,

<sup>66</sup> ECMI-ის ინტერვიუ აქლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობასთან, მარნეული, ივლისი 2011 წ.

<sup>67</sup> ECMI-ის ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა აქლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობასთან, თბილისი, ივნისი 2011 წ.

<sup>68</sup> ECMI-ის ინტერვიუ მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, თბილისი, აგვისტო, 2011 წ.

ორივე განიცდიდა პრე-ისლამური და პრე-ქრისტიანული ადგილობრივი ტრადიციების, აგრეთვე, ჩვეულებითი სამართლის ზეგავლენას.<sup>69</sup>

პანკისში სალაფიზმი გაავრცელეს ჩენეთის მეორე ომის დროს (1999-2000) ჩენეთიდან გამოქცეულმა ლტოლვილებმა.<sup>70</sup> დაახლოებით 7000 ლტოლვილს შორის<sup>71</sup> იყვნენ ასევე ჩენეთი მებრძოლები და არა-ჩენეთი ჯიჰადის მონაწილეები რამდენიმე მუსლიმური ქვეყნიდან. პანკისის რეგიონის ისინი იყენებდნენ სამხედრო წვრთნებისათვის და, ასევე, როგორც ბაზას რუსეთის ფედერალური ძალების წინააღმდეგ ოპერაციების განსახორციელებლად.<sup>72</sup> 2002 წლის აგვისტოში ამერიკელთა დახმარებით საქართველოს სამხედრო ძალების მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ ოპერაციების წარმატებით განხორციელების შემდეგ, საყოველთაოდ გახდა ცნობილი, რომ მებრძოლები ან *ჯიჰადის* მონაწილეები ამ ხეობაში აღარ იმყოფებიან, თუმცა, სალაფიზმი იქ დარჩა და განვითარდა მომდევნო ათწლეულის განმავლობაში.

აქაც, სალაფიტურმა იდეოლოგიამ ფეხი მოიკიდა უმუშევარ, უიმედო ახალგაზრდა მამაკაცებს შორის, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ შესაძლებლობებს. ხეობაში ეკონომიკური მდგომარეობა უიმედოა და ახალგაზრდების უმრავლესობა უმუშევარია.<sup>73</sup> ადგილობრივები

<sup>69</sup> ECMI-ის ინტერვიუ კავკასიის სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორთან მამუკა არეშიძესთან, თბილისი, ივლისი 2011 წ.

<sup>70</sup> არსებობს მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ამაზე ადრეც, 1996-1999 წლებში, ზოგი ახალგაზრდა ადგილობრივი ქისტი მიდიოდა არაბულ ქვეყნებში რელიგიური განათლების მისაღებად.

<sup>71</sup> დღეისათვის დარჩენილია 1100 ლტოლვილი, რომელთაგან 400-500-მა უკვე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. ურთიერთობა ადგილობრივებსა და დარჩენილ ჩენებს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

<sup>72</sup> იხ. მაგალითად: *US targets al-Qaida hideout in Georgia*, The Guardian Online, 15 February 2002, <http://www.guardian.co.uk/world/2002/feb/15/afghanistan.iantraynor>.

<sup>73</sup> ეკონომიკური აქტიუობა ხეობაში მინიმალურია. ახლახანს ამუშავდა მინი-ქარხანა, რომელიც აწარმოებს მუსლიმთათვის ნებადართულ (ჰალალ) ძეხვს (ღორის ხორცის გარეშე). მასში დასაქმებულია მცირე რაოდენობით ადამიანები.





სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების მიზეზად მიიჩნევენ საზღვრის ჩაკეტვას ჩეჩნეთთან.<sup>74</sup> “უწინ [ახალგაზრდებს] სამუშაოს საძიებლად შეეძლოთ გროზნოში [ჩეჩნეთში] წასვლა,” თქვა ერთმა მოხუცმა სოფლის მცხოვრებმა, “ახლა კი ამის არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს.”<sup>75</sup> ადგილობრივი ექსპერტების აზრით, 2011 წლის ივნისისათვის პანკისის სოფლების ახალგაზრდა მამაკაცთა დაახლოებით 60-80 პროცენტს სალაფიზში ჰქონდა მიღებული.<sup>76</sup> ეს ციფრი კვლავაც იზრდება და ერთერთი ადგილობრივი ექსპერტის განცხადებით, თუ სიტუაცია არ შეიცვალა, 15 წელიწადში პანკისი მთლიანად სალაფიზებით იქნება დასახლებული.<sup>77</sup>

ადგილობრივი სოფლის მცხოვრები ქისტები, ისევე, როგორც ადგილობრივი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი თელავში, დარწმუნებულნი არიან, რომ პანკისში მცხოვრებ სალაფიზებს აფინანსებენ რელიგიური ორგანიზაციები და მდიდარი ოჯახები საუდის არაბეთიდან.<sup>78</sup> ერთ-ერთმა მოხუცმა სოფლის მცხოვრებმა თქვა: “ჩვენ საკუთარი თვალთ ვხედავთ, რომ [ვაჭაბიტები] არ მუშაობენ და მაინც აქვთ დიდი სახლები და კარგი მანქანები. სად

ერთმა ეთნიკურმა ქისტმა მთავრობის მაღალჩინოსანმა აღნიშნა, რომ ამ თემის ერთადერთი უდიდესი პრობლემაა უმუშევრობა. ინტერვიუ მთავრობის წარმომადგენელთან, თბილისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>74</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ სოფლის მოსახლეობასთან, პანკისი, ივნისი 2011 წ.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> ECMI-ის ინტერვიუები ადგილობრივი თემის აქტივისტებთან, პანკისი, ივნისი, 2011 წ. თუმცა, მთავრობის ერთერთი წარმომადგენელი, ეთნიკური ქისტი ამტკიცებს, რომ ეს ციფრი ახლოსაა 50 პროცენტთან. ECMI-ის ინტერვიუ მთავრობის წარმომადგენელთან, თბილისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>77</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან, თამარ ბეჭაურთან, თელავი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>78</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან, თელავი, ივნისი 2011. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერის განმარტებით, არაბულ და სხვა ისლამურ ქვეყნებში მცხოვრები მდიდარი მუსლიმები აგროვებენ ფულს და აძლევენ მას მუსლიმთა ღარიბ თემებს პანკისში.

შოულობენ ამდენ ფულს?”<sup>79</sup> ფულმა შეაძლებინა მათ აქმენებინათ ახალი მეჩეთები, *მედრესეები* და გაეგზავნათ ზოგიერთი ახალგაზრდა არაბულ ქვეყნებში ისლამის შესასწავლად. ამგვარად, სალაფიზებმა შეძლეს შეეთავაზებინათ ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი დახმარება. ზოგიერთი ადგილობრივი ასევე აცხადებს, რომ ახალგაზრდებს სთავაზობენ ფულად დახმარებას თუ ისინი ვაჭაბიტურ მეჩეთებში ილოცებენ, თუმცა, ECMI-მ ვერ მიაგნო სამხილს ამის დასადასტურებლად.<sup>80</sup>

პანკისში ექვსი დიდი და რამდენიმე პატარა მეჩეთია, არის ასევე სამლოცველო სახლები. არსებობს აშკარა განსხვავება ტრადიციულ და სალაფიზურ მეჩეთებს შორის. მაგალითად, დუისში, ხეობის მთავარ ქალაქში მდებარეობს ძველი ტრადიციული მეჩეთი, სადაც უფრო ხანდაზმული ადამიანები ღოცულობენ და ახალი, 2002 წელს აშენებული სალაფიზური მეჩეთი, სადაც უმეტესად ახალგაზრდები ღოცულობენ.<sup>81</sup> ერთ-ერთმა ხანშიშესულმა ქისტმა მამაკაცმა, რომელიც მესამე პირია ტრადიციულ მეჩეთში, გვითხრა, რომ ის არასოდეს შევიდოდა სალაფიზურ მეჩეთში.<sup>82</sup> 2010 წლის ივლისში პანკისში მდებარე სოფელ ბირკიანში, ტრადიციული სამლოცველო სახლი სალაფიზებმა დაანგრიეს<sup>83</sup> და მის ადგილზე სალაფიზური

<sup>79</sup> ECMI-ის ინტერვიუები ადგილობრივ სოფლის მოსახლეობასთან, პანკისი, ივნისი 2011 წ. ადგილობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ქისტს ჰყავს ნათესავები რუსეთში, რომელთაგან ზოგი ალბათ შედარებით მდიდარია და აგზავნის ფულს პანკისში ნათესავებთან, რითაც შეიძლება აისხნას ცხოვრების დონის სხვადასხვაობა.

<sup>80</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ ქისტებთან, პანკისი, ივნისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>81</sup> ახალი მეჩეთი, გადმოცემით, დააფინანსა ანონიმურმა უცხოელმა, რომელმაც დიდი რაოდენობით თანხა გაიღო მისი მშენებლობისათვის. ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ სალაფიზებთან, დუისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>82</sup> ECMI-ის ინტერვიუ სოფლის ხანდაზმულ მოსახლეობასთან, დუისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>83</sup> *ჩეჩენმა ვაჭაბიტებმა დაანგრიეს სამლოცველო სახლი პანკისის ხეობაში; Chechen Wahhabis destroyed prayer house in Pankisi Gorge*, Interfax Religion, 20 July 2011, <http://www.interfax-religion.com/?act=news&div=7488>.



მეჩეთი ააშენეს.<sup>84</sup> ამავე დროს მიმდინარეობდა ახალი სალაფიტური მეჩეთის მშენებლობა სოფ. ჯოყოლოში. 2011 წლის ივნისში ახალი მეჩეთები უკვე ფუნქციონირებდა, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამგვარი ქმედებები, რაც ხშირად სოფლის ხანდაზმულ მცხოვრებთ ტოვებს სათანადო სალოცავი ადგილის გარეშე, მიუთითებს იმაზე, რომ ტრადიციული ისლამის მიმდევრებსა და სალაფიტებს შორის დაძაბულობა და მტრული განწყობა თანდათან იზრდება.

დუისის სალაფიტურ მეჩეთთან ფუნქციონირებს პატარა სალაფიტური მედრესე, სადაც დაახლოებით 50-60 ბიჭი და გოგო ცალცალკე სწავლობს ყურანს და არაბულს. გაკვეთილები ტარდება კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ საღამოობით, ანალოგიური პატარა მედრესეები არის პანკისის სხვა სოფლებშიც. ბევრი ახალგაზრდა ქისტი ცოდნის გასაღმავეებლად მიდის არაბული ქვეყნების ან თურქეთის რელიგიურ ინსტიტუტებში, სადაც მათი სწავლის და ცხოვრების საფასურს, ასევე, წვრილმანებისთვის საჭირო ფულს აღნიშნული ინსტიტუტები იხდიან.<sup>85</sup> ბევრი მათგანი ბრუნდება პანკისში, ოჯახდება და ცხოვრობს თავის თემში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ცოლები და შვილებიც სალაფიტები ხდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ექსპერტების უმრავლესობის აზრით, არსებობს “რადაც კარგი” სალაფიზმში, მათ სურთ, რომ მისი გავრცელების ტემპი შეჩერდეს. მის არსებობას საკუთარ თემში განსაკუთრებით განიცდიან შედარებით ხანდაზმული სოფლის მცხოვრებნი, რადგან ის, მათი სიტყვებით, ოჯახის შიგნითაც კი ყოფს და ამსხვრევს ტრადიციულ, პატივისცემით გამსჭვალულ ურთიერთობას ახალგაზრდებსა და ხანდაზმულ ადამიანებს შორის. სალაფიზმი პანკისში, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ სხვა კუთხეში, არ

<sup>84</sup> პანკისის ხეობაში დაანგრიულია საძლოცველო სახლი, ამტკიცებს მოსახლეობა; *Prayer house destroyed in Pankissi [sic] Gorge, residents assert*, Caucasian Knot, 21 July 2011, <http://dagestan.eng.kavkaz-uzel.ru/articles/13901/>

<sup>85</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებთან, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი, ახმეტა, ოქტომბერი 2011 წ.

არის პოლიტიზირებული და არც ტერორიზმს უკავშირდება. ის არის სოციალურ-კულტურული მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს ადგილობრივ რელიგიურ პრაქტიკას და ქისტური თემის მანამდე არსებულ სოციალურ ნორმებს, რითაც ემუქრება არსებულ სოციალურ წესრიგს. იმას, რასაც ბევრი ქისტი მიიჩნევს მნიშვნელოვნად ისლამური პრაქტიკისა და ისლამის გაგების საქმეში - როგორცაა მაგალითად, ზიქრი, ისლამური ღვთისმსახურების აქტი, რომელიც გულისხმობს ალაჰის სახელების გამეორებას და წმინდანების თაყვანისცემას - სალაფიტები მწვავედ აკრიტიკებენ და არაისლამურად თვლიან.<sup>86</sup> ერთი ადგილობრივი სალაფიტის, ასლამბეკის სიტყვებით: “ტრადიციული ისლამი შექმნილია ხალხის მიერ. ახლა ჩვენი პრაქტიკა დაფუძნებულია მხოლოდ ყურანზე და ჰადისებზე. ჩვენ ჭეშმარიტ გზას ვაღგვევართ.” სალაფიტების აზრით, ქალი უნდა ატარებდეს ჩადრს, უნდა უჩანდეს მხოლოდ ხელები და სახე, და ‘ეკუთვნოდეს’ მხოლოდ თავის ქმარს.<sup>87</sup> თბილისში მცხოვრებმა ქისტმა მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რეგიონში მიმდინარე ამ პროცესს უწოდა ‘პანკისის არაბიზაცია’.<sup>88</sup>

სალაფიზმის გავრცელებამ პანკისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში საბაბი მისცა რუსეთს გაუთავებლად წაეყენებინა დაუსაბუთებელი ბრალდებები საქართველოსათვის იმის თაობაზე, რომ საქართველო ხელს უწყობს სამხედრო

<sup>86</sup> ვიკტორ-მეჩი (2009) მიუთითებს, რომ ადგილობრივი ტრადიციების უარყოფის მიზეზი შეიძლება ასევე იყოს ახალი, უფრო გლობალური იდენტობის ძიება. რეფორმისტული სალაფიზმი არის გლობალური ფენომენი, რომლისთვისაც მთავარია მუსლიმური თემის (*umma*) ერთიანობა, ყველა მუსლიმის თანასწორობა, რაც ახალგაზრდებისათვის უფრო მიმზიდველია, ვიდრე ის რიტუალები, რომელსაც ხანდაზმულები ასრულებენ. “Competing Islamic Traditions in the Caucasus,” Dobrosława Wiktor-Mach, *Caucasian Review of International Affairs*, Vol. 3 (1) – Winter 2009. Available at: [http://www.cria-online.org/Journal/6/Done\\_Competing\\_Islamic\\_Traditions.pdf](http://www.cria-online.org/Journal/6/Done_Competing_Islamic_Traditions.pdf).

<sup>87</sup> ECMI-ის ინტერვიუები ადგილობრივ სალაფიტებთან, დუისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>88</sup> ECMI-ის ინტერვიუ მთავრობის წარმომადგენლებთან, თბილისი, ოქტომბერი 2011 წ.



საქმიანობას პანკისში ან თვალს ხუჭავს მასზე. 2011 წლის 7 ივლისს ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა ყოველგვარი სამხილის ან დეტალების გარეშე განაცხადა, “ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სხვა ქვეყნებში განლაგებული ბანდიტური დაჯგუფებების ლიდერები აპირებენ გამოიყენონ საქართველოს ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიაში შესაღწევად.”<sup>89</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარყო ეს ბრალდება და განაცხადა, “პანკისში არ არიან ტერორისტები, არც მიწაზე, არც მიწისქვეშეთში და არც აივნებზე; ეს უფრო რუსული სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული უაზრობაა.”<sup>90</sup>

მიუხედავად ამისა, პანკისის სოფლის მოსახლეობა გამოთქვამს შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ სალაფიზიმის არსებობა ხეობაში შეიძლება საბაბი გახდეს რუსეთისთვის ამ რეგიონში შემოსაჭრელად. ამის დასადასტურებლად ისინი აღნიშნავენ ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის კამპანიას ‘ვაჰაბიტების’ წინააღმდეგ ჩეჩნეთში და მის ნათქვამს: “ვაჰაბიტები არიან არა

მხოლოდ ისლამის, არამედ მთელი კაცობრიობის მტრები და მე ვერ ვხედავ ვერანაირ სხვა გზას მათ საწინააღმდეგოდ, გარდა იმისა, რომ ფიზიკურად გაგანადგურო ისინი.”<sup>91</sup> “მათ იქ ყველა ვაჰაბიტი გაანადგურეს,” ამბობენ ქისტები, “მათ შეუძლიათ მთლიანად ამოწყვიტონ ოჯახები.”<sup>92</sup> ქისტების დამოკიდებულება კადიროვის მიმართ სხადასხვაგვარია. ზოგი ხანდაზული ადამიანი მასზე, როგორც ‘სუფიზიმის აღორძინების’<sup>93</sup> ხელშემწყობზე, აღფრთოვანებით საუბრობს; ზოგი კი ამბობს, რომ მას საკუთარი ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი.”<sup>94</sup>

ქისტებს შორის არსებობს, ასევე, ფართოდ გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება თვალს ხუჭავს პანკისში სალაფიზიმის არსებობასთან დაკავშირებით. ჭორების მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლება თანამშრომლობს სალაფიტებთან და მათგან ფულს იღებს, თუმცა ეს დაუდასტურებელი ინფორმაციაა. მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის პასუხი ამ ბრალდებაზე შემდეგი იყო: “რატომ უნდა გააკეთოს მთავრობამ რაიმე [აკონტროლოს სალაფიზიმი პანკისში]? საქართველოში რელიგიის თავისუფლება; ადამიანებს მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება აირჩიონ აღმსარებლობა.”<sup>95</sup> 16 სექტემბერს “ნარკოტიკული საშუალებების შენახვის” ბრალდებით დააპატიმრეს ‘როდი სკოტის ფონდის’ თანამშრომელი შორენა ხანგოშვილი, რომელიც დუისის სკოლაში

<sup>89</sup> *ФСБ: боевики планируют использовать Грузию для проникновения в Россию* [“FSB: Insurgents plan to use Georgia for penetrating into Russia”], RIA-Novosti, 7 July 2011. რუსული მედია ხშირად ავრცელებს ინფორმაციას სამხედრო მოქმედებების შესახებ ხეობაში. მაგალითად, 2011 წლის ივლისში გადაიკვია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაახლოებით 70-მა შეიარაღებულმა მეომარმა გადაკვია საქართველო-დაღესტნის საზღვარი. ეს ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებამ უარყო და ის დაუდასტურებელი დარჩა. იხ.: Dozens of militants find way into Russia, Russia Today, 1 July 2011, <http://rt.com/news/terrorism-militants-georgia-russia/>; Moscow Renews Accusations against Neighbouring States for Harboring Chechen Fighters, Mairbek Vatchagaev, Eurasia Daily Monitor Volume 8, Issue 130, 7 July 2011, [http://www.jamestown.org/programs/nca/single/?tx\\_ttnews\[t\\_news\]=38146&tx\\_ttnews\[backPid\]=189&no\\_cache=1.http://ria.ru/defense\\_safety/20110707/398424057.html](http://www.jamestown.org/programs/nca/single/?tx_ttnews[t_news]=38146&tx_ttnews[backPid]=189&no_cache=1.http://ria.ru/defense_safety/20110707/398424057.html).

<sup>90</sup> [“В Панкисском ущелье нет ни подпольных, ни надпольных, ни сидящих на балконах сил, и это очередной бред, распространенный российскими спецслужбами”] МВД Грузии: Сообщения о переходе боевиков в Россию из Панкиси – бред [“Ministry of Internal Affairs of Georgia: Reports that militants crossed into Russia from Pankisi nonsense”], Grani.ru, 2 July 2011, <http://grani.ru/Politics/World/Europe/Georgia/m.189681.html>.

<sup>91</sup> *კრემლის ახალი სტრატეგია: “ისლამის” გამოყენება ამბოხებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად*, ჯეიმსტონის ფონდი, 18 აგვისტო, 2005 წ. [http://www.jamestown.org/single/?no\\_cache=1&tx\\_ttnews\[t\\_news\]=30811](http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews[t_news]=30811).

<sup>92</sup> ECMI-ის ინტერვიუები ქისტურ სოფლებში, ჯოყოლო, ივნისი 2011 წ.

<sup>93</sup> იხ. მაგალითად: *The battle for the soul of Chechnya*, The Guardian Online, 22 November 2010, <http://www.guardian.co.uk/world/2007/nov/22/chechnya.to.mparfitt>.

<sup>94</sup> ECMI-ის ინტერვიუ ქიტი ეროვნების მთავრობის მაღალჩინოსნებთან, თბილისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>95</sup> ECMI-ის ინტერვიუ მთავრობის მაღალჩინოსნებთან, თბილისი და თელავი, ივნისი-ივლისი 2011 წ.



ინგლისურს ასწავლიდა.<sup>96</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი შესაძლოა არ უკავშირდებოდეს სალაფიზმს, ისმება კითხვა იმის თაობაზე, თუ რა როლი აკისრია ხელისუფლებას პანკისში.<sup>97</sup> ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების შემდეგ რამდენიმე დღეში ხანგოშვილს დააკისრეს გირაო 5000 ლარის (დაახლოებით 2330 ევრო) ოდენობით და გაათავისუფლეს. პროფესიით ჟურნალისტი, ხანგოშვილი ბოლო წლებში დაწვრილებით აღწერდა პანკისში მიმდინარე მოვლენებს, ხოლო მისი სკოლაში მუშაობა იყო ერთ-ერთი იმ ინიციატივათაგანი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სალაფიზმის აღკვეთა ამ ზონაში.

ახმეტაში, “კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი” ასევე, ატარებს საგანმანათლებლო პროგრამას პანკისში და ასწავლის ინგლისურს და კომპიუტერს, ასევე, ‘ქალთა კლუბი’ აწყოებს ტრენინგებს ადგილობრივი ქალებისათვის და უზრუნველყოფს მათ მიერ ადვოკატებისა და ფსიქოლოგების მომსახურების გამოყენებას. ასევე, ისინი უზრუნველყოფენ იმ ადამიანებისათვის გრანტის გამოყოფას, რომლებიც ცდილობენ მცირე ბიზნესის დაწყებას, როგორცაა მაგალითად, მაღაზიის გახსნა. რამდენიმე სხვა ქისტიც ასევე ცდილობს წინ აღუდგეს სალაფიზმის ზეგავლენას თავიანთ თემში. ლეილა აჩიშვილმა, ადგილობრივმა აქტივისტმა სოფელ ჯოყოლოდან, თბილისელ ხელოვნების პედაგოგთან, მთვარისა ჯოისთან ერთად, ჩამოაყალიბა პატარა ხელოვნების სკოლა ადგილობრივი ბავშვებისა და მოზარდებისათვის, სადაც, 140 ბავშვი და ახალგაზრდა ადამიანი სწავლობს ხატვას, მეთუნეობას და ხელოვნების სხვა დარგებს.<sup>98</sup> ბევრი ადგილობრივი ბავშვისათვის ეს არის

ერთადერთი შესაძლებლობა ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. გარდა იმისა, რომ ისინი იძენენ სასარგებლო და სასიამოვნო უნარ-ჩვევებს, ეს ასევე აძლევს მასწავლებელს საშუალებას, დაანახოს მათ ცხოვრება სხვა მხრიდან და მიახვედროს ისინი, რომ არსებობს კიდევ სხვა რამ სალაფიზის გარდა.<sup>99</sup>

აზერბაიჯანელ მოსახლეობაში ECMI-მ დაადგინა სალაფიტების საქმიანობის სამი ძირითადი ცენტრი პანკისის ფარგლებს გარეთ. თბილისის გარეუბანში, ფონიჭალაში ცხოვრობს 50-მდე სალაფიტი, რომელთა ‘ლიდერი’, გადმოცემით, არის ულვი მამედოვი. როგორც ამბობენ, ზოგიერთ მათგანს კავშირი აქვს ბაქოში მცხოვრებ სალაფიტებთან.<sup>100</sup> ქვემო ქართლში, ქეშალოში (მარნეულის რ-ნი) არის სალაფიტური მეჩეთი, რომლის ხელმძღვანელიც სწავლობდა წმინდა ქალაქ მედინაში, საუდის არაბეთში. თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ყარაჯალაში არის მსგავსი მეჩეთი, რომლის ხელმძღვანელიც ასევე სწავლობდა მედინაში. გადმოცემით, ორივე ეს მეჩეთი პოპულარული და ძლიერია. მათგან განსხვავებით, ქ. მარნეულში სალაფიზმი შედარებით სუსტია. აქ ადრე ფუნქციონირებდა ტრადიციული მეჩეთი და აჰლ ულ-ბეითი ათწლეულის მანძილზე ატარებდა რელიგიის გაკვეთილებს. აქ არის, ასევე, აზერბაიჯანის კულტურის ცენტრი. აჰლ ულ-ბეითის წარმომადგენლებს სჯერათ, რომ აღნიშნული ფაქტორების გამო სალაფიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა ამ ქალაქში, ვინაიდან ახალგაზრდები აქ უკეთ არიან გათვითცნობიერებულნი რელიგიურ საკითხებში და იციან სალაფიზმის ზეგავლენის შესახებ.

ეს მაგალითები ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას საქართველოში ფუნდამენტალისტური ისლამის გავრცელების შეფერხების საქმეში. ერთი ქისტის სიტყვებით “[პანკისში] არ არის ადგილი, სადაც ბავშვებს შეეძლებათ მიიღონ ნორმალური

<sup>96</sup> დააკავეს ახმეტაში, თვითმხილველების გადმოცემით დაკავებულის ჩანთა გაიხსრიკა მისი დაკავების შემდეგ და არა მანამდე.

<sup>97</sup> იხ. მაგალითად: *Pankisi is a Breeding Ground for Radicalism*, The Moscow Times, 3 October 2011, <http://www.themoscowtimes.com/opinion/article/pankisi-is-a-breeding-ground-for-radicalism/444685.html>.

<sup>98</sup> 2011 წლის ოქტომბერში ლეილა აჩიშვილმა ინტერვიუში განაცხადა, რომ სკოლაში ბავშვების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა, რადგან ვაჰაბიტ მშობლებს არ მოსწონდათ, რომ მათი შვილები ცოცხალ არსებებს ხატავდნენ.

<sup>99</sup> ასევე, პანკისის ყველაზე დიდ სოფელში, რუისში არის როდი სკოტის ფონდის სკოლა. აქ უფროსი მასწავლებელი არის პროფესიით ჟურნალისტი შორენა ხანგოშვილი. მას გავლელი აქვს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის სამაგისტრო პროგრამა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA)

<sup>100</sup> ECMI-ის ინტერვიუ აჰლ ულ-ბეითის წარმომადგენლებთან, მარნეული, ივლისი, 2011 წ.



ინფორმაცია რელიგიის შესახებ.” სასწავლო პროგრამები უნდა განხორციელდეს ისეთ პროგრამებთან კომბინაციებში, რომელიც ამ რეგიონის ახალგაზრდობას მისცემს სამსახურის და საზრდოს შოვნის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია ასევე, როგორც პოლიტიკური და სოციალური, ისე რელიგიური ინსტიტუტების განვითარება, რომელთა ფუნქციონირებაშიც საქართველოს მუსლიმებს უფრო თავისუფლად შეეძლებათ მონაწილეობა მთელი ქვეყნის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს მათი იდენტობის ჩამოყალიბებას ისეთი ფორმით, რომელიც მხოლოდ ისლამზე არ იქნება დაფუძნებული.

**ზეგავლენა (iii) აზერბაიჯანი და კავკასიის მუსლიმთა სამმართველო**

კავკასიის მუსლიმთა სამმართველო განაგებს ოფიციალურ ისლამს აზერბაიჯანში და საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნამდე ის იყო ასევე *დე იურე* მმართველი ორგანო საქართველოს მუსლიმური თემისათვის. კავკასიის მუსლიმთა სამმართველო შეიქმნა 1943 წელს, ხოლო სახელი შეეცვალა 1991 წელს. 1980 წლიდან მას სათავეში უდგას შიიტი, *შეიხ ულ-ისლამი*, ჰაჯი ალაშუქურ ფაშაზადე.<sup>101</sup> მისი მოადგილე მუფთი ჰაჯი ალასკარ მუსაევი სუნიტია. კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელი საქართველოში იყო ჰაჯი ალი ალიევი, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი, რომლის ოფისიც იყო თბილისის ჯუმა მეჩეთში.

ბოლო წლებში, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს საერთაშორისო როლი, აზერბაიჯანის დიპლომატიურ როლთან ერთად მუსლიმურ სამყაროში თანდათან გაიზარდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევიმ განსაკუთრებით დიდი ნდობა გამოუცხადა ჰაჯი ფაშაზადეს, როგორც დამაკავშირებელ ხიდს სეკულარულ აზერბაიჯანის სახელმწიფოსა და აზერბაიჯანის მუსლიმ მოსახლეობას შორის ქვეყნის შიგნით და, ასევე, ბაქოსა და

<sup>101</sup> ჰაჯი ფაშაზადე არის ეთნიკური თალიში სამხრეთ აზერბაიჯანში მდებარე სოფ. ჯილიდან. ოფიციალური ისლამის წარმომადგენელი სასულიერო პირების უმრავლესობა, რელიგიური საბჭოს საშუალებით, ამ რეგიონიდან არის არჩეული.

საზღვარგარეთ მცხოვრებ მუსლიმებს შორის. ამგვარად, ჰაჯი ფაშაზადე თანდათან გააქტიურდა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ატარებს საერთაშორისო რელიგიურ კონფერენციებს, ხვდება მუსლიმური სახელმწიფოების ლიდერებს ბაქოში და მოგზაურობს მთელ ისლამურ სამყაროში. მაგალითად, 2011 წლის ივლისში თურქეთში ვიზიტისას ის შეხვდა თურქეთის პრეზიდენტს აბდულა გულის და პრემიერ მინისტრს რეჯეფ თაიფ ერდოღანს და ხელი მოაწერა ურთიერთგაგების და თანამშრომლობის ოქმს თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამმართველოსთან.<sup>102</sup>

კავკასიის მუსლიმთა სამმართველო აკონტროლებს მეჩეთების ქსელს აზერბაიჯანში, მისი ზედამხედველობის ქვეშაა მოღების დანიშვნა, ისლამური განათლება და რელიგიის მსახურთათვის ხელფასების დანიშვნა. მისი მონოპოლიის ქვეშაა, ასევე, პილიგრიმობის (ჰაჯი) ორგანიზება მექასა და მედინაში. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მუსლიმთა სამმართველო ითვლება ნახევრად დამოუკიდებელ ორგანიზაციად,<sup>103</sup> მისი ახლო ურთიერთობა აზერბაიჯანის მთავრობასთან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის ლეგიტიმურობას.<sup>104</sup> ექსპერტების მტკიცებით, სასულიერო პირთა ერთგულება ნაყიდა იმით, რომ მათ ეძლევათ უფლება აკონტროლონ სტუმართა ფულადი შემოწირულობები და საჩუქრები მათი ზედამხედველობის ქვეშ არსებულ მეჩეთებში,<sup>105</sup> რის გამოც ოფიციალურ

<sup>102</sup> რელიგიური ორგანიზაციები აზერბაიჯანში, თურქეთი იწყებს თანამშრომლობას; “Religious bodies of Azerbaijan, Turkey set to cooperate,” News.az, 21 July 2011, <http://news.az/articles/society/40968>.

<sup>103</sup> ერთმა დამკვირვებელმა თქვა, “კავკასიის მუსლიმთა სამმართველო? ეს არის მთავრობა.” ECMI-ის ინტერვიუ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ოფიციალურ წარმომადგენელთან და ყოფილ ეუთოს მისიის აზერბაიჯანის მკვლევართან ჰემა კოტეჩასთან, თბილისი, ოქტომბერი 2011.

<sup>104</sup> კრიზისის ჯგუფი წერს, რომ 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული კვლევების დროს კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ყველა ოფისში იყო პრეზიდენტ ალიევის პორტრეტი.

<sup>105</sup> ისლამის პოლიტიზაცია აზერბაიჯანში; *The Politicization of Islam in Azerbaijan*, Svante E. Cornell, Silk Road Paper, October 2006. Available at:



მოლებს საზოგადოება მხარს ნაკლებად უჭერს. ასევე, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს მონოპოლია *ჰაჯის* ორგანიზებაზე ბევრს აფიქრებინებს, რომ აქაც კორუფციას აქვს ადგილი.<sup>106</sup> ბაქოში მცხოვრები ერთი დამოუკიდებელი იმამის აზრით, “კავკასიის მუსლიმთა სამმართველო არ არის რელიგიური ორგანიზაცია, მას ბიზნესთან უფრო აქვს საქმე.”<sup>107</sup> გარდა ამისა, მიხნეულია, რომ კავკასიის მუსლიმთა სამმართველო ბევრს არაფერს აკეთებს მეჩეთების და მორწმუნე მოსახლეობის დასახმარებლად და მიუხედავად მის მფლობელობაში არსებული მნიშვნელოვანი ოდენობის ფონდებისა, აზერბაიჯანში მეჩეთების უმეტესობის რეაბილიტაცია ხდება ხალხის ან უცხოეთიდან მიღებული დახმარებით.<sup>108</sup> ამგვარი უკანონობის საფუძველზე დაიწვეს აღმოცენება და ზრდა დამოუკიდებელმა შიიტურმა და სუნიტურმა ჯგუფებმა, რომლებიც არ ცნობენ ოფიციალურ სასულიერო პირთა რელიგიურ ავტორიტეტს. ბოლო წლებში მათი რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე

[http://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=the%20politicization%20of%20islam%20in%20azerbaijan&source=web&cd=1&ved=0CBcQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.silkroadstudies.org%2Fnew%2Fdocs%2FSilkroadpapers%2F0610Azer.pdf&ei=3XCETp77DaG50QXfpI33Dw&usq=AFQjCNGz0D1k5REFFefPvsMYIA\\_AUOuxGA&cad=rja](http://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=the%20politicization%20of%20islam%20in%20azerbaijan&source=web&cd=1&ved=0CBcQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.silkroadstudies.org%2Fnew%2Fdocs%2FSilkroadpapers%2F0610Azer.pdf&ei=3XCETp77DaG50QXfpI33Dw&usq=AFQjCNGz0D1k5REFFefPvsMYIA_AUOuxGA&cad=rja).

<sup>106</sup> საულის არაბეთის *ჰაჯის* სამინისტრო გაცემის *ჰაჯის* ვიზების დადგენილ რაოდენობას თითოეული ქვეყნისათვის ან მმართველი ორგანოსათვის. ამ შემთხვევაში ეს არის კავკასიის მუსლიმთა სამმართველო. სამმართველოს კვოტა აზერბაიჯანისა და საქართველოს მომლოცველებისათვის იყო 2500. ამგვარად, მომავალ მომლოცველებს უნდა მიეღოთ სამმართველოს თანხმობა საჭირო ვიზის მისაღებად. 2005 წლის ინციდენტი ნათელს ფენს ამ მონოპოლიას. მეტი ინფორმაციისათვის იხ.: *Saudi Arabia Criticises Azerbaijani Government Official over Hajj Problems*, Central Asia-Caucasus Institute, 18 January 2005, <http://www.cacianalyst.org/?q=node/2751>.

<sup>107</sup> *აზერბაიჯანი: დამოუკიდებელი ისლამი და სახელმწიფო*; ევროპის ანგარიში №191, 25 მარტი 2008. იხ. მისამართზე: [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191\\_azerbaijan\\_independent\\_islam\\_and\\_the\\_state.pdf](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191_azerbaijan_independent_islam_and_the_state.pdf).

<sup>108</sup> *აზერბაიჯანი: დამოუკიდებელი ისლამი და სახელმწიფო*; ევროპის ანგარიში №191, 25 მარტი 2008. იხ. მისამართზე: [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191\\_azerbaijan\\_independent\\_islam\\_and\\_the\\_state.pdf](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191_azerbaijan_independent_islam_and_the_state.pdf).

ოფიციალური მეჩეთებისა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელი შიიტი ლიდერი, *ჰაჯი* ილგარ იბრაჰიმოღლი აცხადებს: “როდესაც ისლამით დაინტერესება დაიწყო, ვერ ვპოულობდი ადამიანს, რომელიც სათანადო პასუხს გამცემდა შეკითხვებზე. მე არ მაკმაყოფილებდა იმ ‘წითელი მოლების’ პასუხები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მუშაობდნენ აქ. ისლამთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჩემთვის გაურკვეველი იყო.”<sup>109</sup> ისევე როგორც საქართველოში, აქაც ბევრ ჯგუფს აქვს კავშირები საზღვარგარეთთან, განსაკუთრებით თურქეთთან, ირანთან და საუდის არაბეთთან. ბაქოში შეიძლება გამოიყოს ორი დამოუკიდებელი რელიგიური თემი. ერთს ხელმძღვანელობს იბრაჰიმოღლი, მეორეს კი სალაფიტი, და ასევე, ქარიზმატული ახალგაზრდა ლიდერი გამეთ სულეიმანოვი.<sup>110</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაციები ზოგადად არაპოლიტიკურია, აზერბაიჯანის მთავრობა ეჭვის თვალთ უყურებს ისლამის ყოველგვარ დამოუკიდებელ გამოვლინებას ქვეყანაში.

მთავრობის შეშფოთება ამ ჯგუფებთან დაკავშირებით და მისი ეფექტური ურთიერთობა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოსთან, გახდა იმის საფუძველი, რომ 2001 წელს შეიქმნა რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო უწყება, რომელსაც ვეალებოდა რელიგიის სფეროს კონტროლი.<sup>111</sup>

<sup>109</sup> *აზერბაიჯანის ახალგაზრდობას სულ უფრო მეტად იზიდავს ისლამი*, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი. ვებ-გვერდის მისამართი: <http://www.isn.ethz.ch/isn/Current-Affairs/Security-Watch-Archive/Detail/?lng=en&id=53700>.

<sup>110</sup> ECMI-ის ინტერვიუ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენელთან ჰემა კოტენასთან, ოქტომბერი 2011 წ. იხ. აგრეთვე: *Azerbaijan: Harsh approach to Islamists may backfire*, Oxford Analytica, 17 February 2011, <http://www.oxan.com/display.aspx?ItemID=DB166246>.

<sup>111</sup> ოფიციალურად რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ოთხი ფუნქცია: რელიგიისა და პოლიტიკის გამოიწვევა; რელიგიური ტოლერანტობის დაცვა და განვითარება; რელიგიური განათლების უზრუნველყოფა არარელიგიური განათლების სისტემის ფარგლებში; და რელიგიური ლიტერატურის კონტროლი, რათა მან ზიანი არ მიაყენოს სხვადასხვა რელიგიებს შორის ურთიერთობას ან ქვეყნის სტაბილურობას. მისი შექმნის მიზანი იყო, ასევე, ირანის ზეგავლენის



გარდა ამისა, ბოლო წლებში აზერბაიჯანის რელიგიის შესახებ კანონში შეტანილი იქნა მთელი რიგი შესწორებებისა, რომლებიც ზღუდავს რელიგიის თავისუფლებას. მაგალითად, ყველა რელიგიურ ორგანიზაციას მოეთხოვა 2010 წლის 1 იანვრამდე რეგისტრაციაში ხელახლა გაეღა რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტში, ხოლო, მუსლიმურ რელიგიურ ჯგუფებს რეგისტრაციამდე უნდა მიეღოთ წერილობითი ნებართვა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოდან.<sup>112</sup> “ჩვენ ვცდილობთ, შევაჩეროთ რადიკალური ტრადიციების გავრცელების მცდელობა ქვეყანაში,” განაცხადა რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ჰიდაიათ ორუჯოვმა, “არსებობენ პატარა ჯგუფები, რომლებსაც არ გააჩნიათ ზეგავლენის უნარი. ჩვენ ვიბრძვით მათ წინააღმდეგ.”<sup>113</sup> მან თქვა, რომ ზოგიერთი ასეთი ჯგუფი თავს არიდებს სახელმწიფო კომიტეტში რეგისტრაციას, რადგან უნდათ კანონგარეშე მოქმედება.<sup>114</sup>

ადკვეთა რელიგიურ ცხოვრებაზე. Balci, “Islam et politique dans l’Azerbaïdjan post-soviétique”, op. cit., p. 145. 2006 წლამდე კავშირი კავკასიის მუსლიმთა სამმართველოსა და რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტს შორის დაძაბული იყო, რადგან ორივე მათგანი იბრძოდა ზეგავლენის მოსაპოვებლად. იხ.: *იხლამის პოლიტიზაცია აზერბაიჯანში, The Politicization of Islam in Azerbaijan*, Svante E. Cornell, Silk Road Paper, October 2006, p. 65. Available at: [http://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=the%20politicization%20of%20islam%20in%20azerbaijan&source=web&cd=1&ved=0CBcQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.silkroadstudies.org%2Fnew%2Fdocs%2FSilkroadpapers%2F0610Azer.pdf&ei=3XCETp77DaG50QXfpl33Dw&usq=AFQjCNGz0D1k5REffefPvsMYIA\\_AUOUxGA&cad=rja](http://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=the%20politicization%20of%20islam%20in%20azerbaijan&source=web&cd=1&ved=0CBcQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.silkroadstudies.org%2Fnew%2Fdocs%2FSilkroadpapers%2F0610Azer.pdf&ei=3XCETp77DaG50QXfpl33Dw&usq=AFQjCNGz0D1k5REffefPvsMYIA_AUOUxGA&cad=rja).

<sup>112</sup> ახალი კანონის თანახმად, რელიგიურ ჯგუფებს შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ აზერბაიჯანის კონსტიტუციის ფარგლებში და სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი რეგისტრაციის გაუქმება. ახალი კანონი მკაცრად აკონტროლებს მათ საქმიანობას, მაგალითად, რელიგიური ლიტერატურა და საგნები უნდა იყიდებოდეს მხოლოდ სპეციალურ მაღაზიებში, რომელსაც აკონტროლებს ხელისუფლება.

<sup>113</sup> აზერბაიჯანი: მიმდინარეობს მეჩეთების განადგურება, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი, 26 მაისი 2009 წ.

<http://www.isn.ethz.ch/isn/Current-Affairs/Security-Watch-Archive/Detail/?lng=en&id=100612>.

<sup>114</sup> იქვე.

აზერბაიჯანის პარლამენტი 2011 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში გეგმავს დააწესოს ხუთ წლამდე პატიმრობა ან მაქსიმალური ჯარიმა ცხრა წლის განმავლობაში ოფიციალურად დადგენილი მინიმალური ხელფასის სახით, იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც გამოსცემენ ან ავრცელებენ რელიგიურ ლიტერატურას აზერბაიჯანის წინასწარი სავალდებულო სახელმწიფო ცენზურის გავლის გარეშე. ახალი სადამსჯელო ზომების გატარება იგეგმება იმ შემთხვევაშიც თუ მუსლიმურ ღვთისმსახურებას ადასრულებს პირი, რომელმაც რელიგიური განათლება საზღვარგარეთ მიიღო.<sup>115</sup> ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენიმე დამოუკიდებელი მეჩეთი დაიხურა ან განადგურებულ იქნა.<sup>116</sup> მათგან ორი, სალაფიტი აბუ ბაქრის მეჩეთი და თურქების მიერ აშენებული შეჰიდლერ (წამებულთა) მეჩეთი ყველაზე პოპულარული იყო ბაქოში.<sup>117</sup>

<sup>115</sup> აზერბაიჯანი: ხუთ წლამდე პატიმრობა ცენზურაგაუვლელი რელიგიური ლიტერატურისათვის? Azerbaijan: Up to five years’ imprisonment for uncensored religious literature? Forum 18 News Service, 1 November 2011, [http://www.forum18.org/Archive.php?article\\_id=1632](http://www.forum18.org/Archive.php?article_id=1632).

<sup>116</sup> მეტი ინფორმაციისათვის იხ.: International Religious Freedom Report (Azerbaijan) July-December 2010, US Department of State, 13 September 2011. Available at: <http://www.state.gov/documents/organization/171683.pdf>

<sup>117</sup> ხელისუფლება ამგვარი ქმედების გამართლების მიზნით ამბობდა, რომ ზოგიერთი ნაგებობა იყო სტრუქტურულად არასაიმედო და საჭიროებდა შეკეთებას, ზოგი კი თითქოსდა უკანონოდ იყო აშენებული ან არ ჰქონდა სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია. ზოგი კრიტიკოსის მტკიცებით ამგვარი განმარტებების უკან მთავრობა მაღავს სხვა მოტივაციას - სურვილს აკონტროლოს სიტყვისა და სინდისის თავისუფლება. “მთავრობა იგონებს სხვადასხვა მიზეზებს ამ მეჩეთების დახურვის გასამართლებლად,” ამბობს იღვარ იბრაჰიმოღლუ, რელიგიური რწმენის თავისუფლებისა და რელიგიის დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი. “ისინი არ გვაძლევენ ზუსტ განმარტებას და საბოლოოდ ყველაფერი მთავრობის კონტროლის ქვეშ რჩება.” Baku Mosque Closures Inconvenience Believers, Eurasianet.org, 18 March 2010, <http://www.eurasianet.org/departments/civilsociety/articles/eav031910.shtml>; See also: Azerbaijan: Mosques Close in Baku, “Capital of Islamic Culture, Eurasianet.org, 26 May 2009,



ისეთი ზომების გატარება, როგორცაა, ჩადრის ტარების არაოფიციალური აკრძალვა სკოლებში, უცარი შეჭრა წიგნის მაღაზიებში აკრძალული ლიტერატურის ამოსაღებად, ანდა ისეთი მკაცრი ქმედებები, როგორცაა დამოუკიდებელი ორგანიზაციების წევრთა უკანონო დაკავება, უბიძგებს დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაციების წევრებს იატაკქვეშეთისაკენ და აღვივებს რადიკალურ ტენდენციებს.<sup>118</sup> ერთ-ერთი ბაქოში მცხოვრები ანალიტიკოსის სიტყვებით: “როდესაც დემოკრატია უფასურდება, აღმოცენება იწყებს არადემოკრატიული ღირებულებები და რეზისტენტული მეთოდები.”<sup>119</sup>

კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს როლი საქართველოში უფრო შეზღუდული იყო. ზოგიერთი იმამი თბილისში ინიშნებოდა

ამ სამმართველოს წარმომადგენლის ჰაჯი ალი ალიევის მიერ.<sup>120</sup> მუსლიმური წყაროების ცნობით, ის მცირეოდენ დახმარებას იღებდა ჰაჯი ფაშაზადესგან. ფაშაზადე ყოველ წელს ჩამოდიოდა ვიზიტით თბილისში და არა ქვემო ქართლში. საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსანთა აზრით კავკასიის მუსლიმთა სამმართველო საკმარის მუშაობას არ ეწეოდა საქართველოში: “მუსლიმების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს მონიტორინგი უნდა გაეწია ისლამის განვითარებაზე [ქვემო ქართლში], აეხსნა ამ განვითარების თავისებურებები და დაედგინა თუ რაში მდგომარეობს მისი პრობლემები. მას უნდა მოეწყო კონფერენციები და შეხვედრები. არც ერთი ეს მოთხოვნა არ შესრულებულა.”<sup>121</sup> კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს კომპეტენტურობა ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თბილისში არსებული ერთ-ერთი დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა: “ჩვენ არასოდეს ვთვლიდით შეიხ ულ-ისლამს ჩვენს შეიხად, მას არაფერი გაუკეთებია ქართველი მუსლიმებისთვის. ჩვენ თუ პრობლემა გვექნება, რატომ უნდა წავიდეთ ბაქოში მის მოსაგვარებლად. ჩვენი პრობლემები აქვე უნდა გადაიჭრას.”<sup>122</sup> კორუფციის არსებობაზე აქაც დაჯერებით საუბრობენ. ამტკიცებენ, რომ თბილისის მეჩეთისათვის კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს შუამავლობით გადასაცემი თანხები უკვალოდ ქრებოდა; საჩუქრებს, როგორცაა ხალიჩები, ყიდდნენ.<sup>123</sup> კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ, ასევე, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს მიერ ორგანიზებულ ჰაჯის გადმოცემით მოგზაურობის საფასური ერთ სულზე იყო 4000 აშშ დოლარი (დაახლოებით 2800 ევრო), მაშინ, როცა მისი ფასი არ უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1350 აშშ დოლარზე (1000 ევროზე) მეტი.

<http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav052709b.shtml>.

<sup>118</sup> იხ. მაგალითად: აზერბაიჯანი: ჩადრების აკრძალვა სკოლებში იწყებს დებატებს ბაქოში ისლამის როლთან დაკავშირებით. Azerbaijan: Hijab Ban in Schools Fuels Debate in Baku on role of Islam, Eurasianet.org, 6 January 2011, <http://www.eurasianet.org/node/62670>;

აზერბაიჯანი: არამდგრადი სტაბილურობა; Azerbaijan: Vulnerable Stability, Europe Report N°207, 3 September 2010. Available at:

<http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/caucasus/azerbaijan/207%20Azerbaijan%20-%20Vulnerable%20Stability.pdf>.

მაგალითად, ზემოაღნიშნულ სამადლოვის დაპატიმრებას მოჰყვა, მის მიერ წარმოქმნილი სიტყვის Youtube -ზე განთავსება, რომელშიც ის აკრიტიკებდა პრეზიდენტს იმის გამო, რომ ის ფლობდა ქონებას დუბაიში. მან დაგმო სახელმწიფო პოლიტიკა სეკულარიზმის განხორციელების, განსაკუთრებით კი სკოლებში ჩადრის ტარების აკრძალვის გამო. სიტყვაში მან გააკრიტიკა პირადად პრეზიდენტი და შეადარა ის შიიტის ისტორიაში ცნობილ ავტოკრატულ პიროვნებას, რასაც მოჰყვა მოწოდება ალიევის ლიკვიდაციისაკენ. იხ. მაგალითად: აზერბაიჯანი: ისლამური პარტიის ლიდერის დაპატიმრება რელიგიას პოლიტიკურ შეფერვლობას აძლევს; Azerbaijan: Arrest of Islamic Party Leader Puts Religion in the Political Spotlight, Eurasianet.org, 11 January 2011, <http://www.eurasianet.org/node/62692>.

<sup>119</sup> აზერბაიჯანი: დამოუკიდებელი ისლამი და სახელმწიფო; Azerbaijan: Independent Islam and the State, Europe Report N°191, 25 March 2008. Available at: [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191\\_azerbaijan\\_independent\\_islam\\_and\\_the\\_state.pdf](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/191_azerbaijan_independent_islam_and_the_state.pdf).

<sup>120</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებთან, მარნეული და სადახლო. ოქტომბერი 2011.

<sup>121</sup> ECMI-ის ინტერვიუ მთავრობის მაღალჩინოსანთან, თბილისი, აგვისტო 2011 წ.

<sup>122</sup> ECMI-ის ინტერვიუ ალულ ბეთის (რელიგიური ორგანიზაცია) ხელმძღვანელთან, ჰაჯი ფაივთან, თბილისი, ივლისი 2011 წ.

<sup>123</sup> ECMI-ის ინტერვიუ მთავრობის წარმომადგენლებთან, თბილისი, ივლისი 2011 წ.





2005 წელს რამდენიმე მორწმუნე მუსლიმმა თბილისიდან და ქვემო ქართლიდან, მათ შორის აკლ ულ-ბეითის ხელმძღვანელებმა და თბილისში დაფუძნებული იმამის ფონდმა, სცადეს, შეექმნათ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოსგან დამოუკიდებელი უწყება, რომელიც უხელმძღვანელებდა ქართველ მუსლიმებს. ბაქოდან კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ზეწოლის და საქართველოს მთავრობის მხრიდან მხარდაჭერის უქონლობის გამო ეს მცდელობა ეფექტურად იქნა შეჩერებული. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მუსლიმთა სამმართველო უშვებს შეცდომებს და უფრო განათლებული აზერბაიჯანელების აზრით არ არის კანონიერი, მას მაინც ბევრი მხარდაჭერი ჰყავს საზოგადოების დარბ და ნაკლებად განათლებულ ფენაში როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში. ბოლო წლებში, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ჰქონდა რეფორმების გატარების მცდელობა, მაგალითად, პრიორიტეტის მიცემა ახალი თაობის სასულიერო პირთა განათლებისათვის, რაშიც გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული. შესაძლოა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ნაკლები გავლენა და ავტორიტეტი აქვს საქართველოში, მაგრამ ის ყოველთვის ხაზს უსვამდა და მხარს უჭერდა დიდი ხნის რელიგიურ და კულტურულ კავშირებს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსა და აზერბაიჯანს შორის. როგორც საქართველოში ერთ-ერთი აზერბაიჯანული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღნიშნავს: “[ფაშა ზადეს] ბევრი არაფერი გაუკეთებია [საქართველოს აზერბაიჯანელებისათვის], მაგრამ ის მაინც ჩვენთან იყო.”<sup>124</sup> ეს შეხედულება მიუთითებს მჭიდრო კავშირზე საქართველოს ბევრ აზერბაიჯანელსა და აზერბაიჯანს შორის.

აზერბაიჯანის მთავრობა ასევე აფინანსებს თბილისსა და ქვემო ქართლში არსებულ მთელ რიგ სეკულარულ კულტურულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვეულებრივ ოფიციალურად არ არიან დაკავებული რელიგიური საქმიანობით. თბილისში არსებობს კულტურული ცენტრი

<sup>124</sup> ECMI-ის ინტერვიუ საზოგადოებრივი გაერთიანება ტოლერანსის ხელმძღვანელთან, ელბრუს მამედოვთან, თბილისი, ივლისი 2011 წ.

*ვარლიჯი*, ხოლო მარნეულში აზერბაიჯანის მთავრობა აფინანსებს უფრო დიდ აზერბაიჯანული კულტურის ინსტიტუტს. იქ დაახლოებით 700 სტუდენტს ასწავლიან ტრადიციულ აზერბაიჯანულ სიმღერებსა და ცეკვებს, ასევე, ორგანიზებას უკეთებენ ქართული ენის გაკვეთილებს, რათა დაეხმარონ ადგილობრივ აზერბაიჯანელებს ისწავლონ ქართულ უნივერსიტეტებში. დირექტორი ფაზილ ჰასანოვი ამტკიცებს, რომ მისი მიზანია შექმნას აზერბაიჯანული ინტელიგენციის ახალი, განათლებული თაობა, რომელიც ინტეგრირებული იქნება ქართულ საზოგადოებაში.<sup>125</sup>

**ზეგავლენა (iv) ურთიერთობები სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის; ახალი კანონმდებლობა რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით**

რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით სპეციალური კანონის არარსებობა დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა როგორც აზერბაიჯანული თემის, ისე სხვა რელიგიური უმცირესობების უკმაყოფილების საგანს. საქართველოს კონსტიტუცია იძლევა “რწმენის და რელიგიის სრული თავისუფლების” გარანტიას, მაგრამ იქვე აღნიშნავს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ ისტორიულ სტატუსს ქართულ საზოგადოებაში. 2002 წლის კონკორდატმა დაადგინა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია სრულად ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ისტორიაში მისი ‘განსაკუთრებული როლის’ გამო, მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა მას.<sup>126</sup> უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ

<sup>125</sup> ECMI-ის ინტერვიუ აზერბაიჯანული კულტურის ინსტიტუტის დირექტორთან, ფაზილ მამედოვთან, მარნეული, აგვისტო, 2011 წ.

<sup>126</sup> რაც ასევე, გულისხმობდა პატრიარქისათვის იურიდიული იმუნიტეტის მინიჭებას; საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის სამხედრო ნაწილებში არსებულ ეკლესიებში ღვთისმსახურთა დანიშვნის ექსკლუზიური უფლების მინიჭებას; საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სამღვდელოების გათავისუფლებას სამხედრო სამსახურისგან; და ეკლესიისათვის განსაკუთრებული საკონსულტაციო როლის მინიჭებას მთავრობაში, განსაკუთრებით განათლების სფეროში.



უმცირესობებს შეეძლოთ დარეგისტრირება მხოლოდ როგორც არასამთავრობო ან საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რის გამოც მათ არ ეძლეოდათ რელიგიური ორგანიზაციის სტატუსი და აქედან გამომდინარე - უფლებები. ბევრმა რელიგიურმა უმცირესობამ, მუსლიმური თემის ჩათვლით, უარი განაცხადა ამ ფორმით რეგისტრაციაზე, იმ მიზეზით, რომ მათ არ ეძლეოდათ არანაირი სამართლებრივი სტატუსი. კონკორდატი გაკრიტიკებული იქნა საერთაშორისო მასშტაბით. მაგალითად, აშშ-ის ჰელსინკის კომისიის წევრები ამტკიცებენ, რომ ეს “ქმნის უთანასწორობას სხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ.”<sup>127</sup>

სამართლებრივი სტატუსის უქონლობამ განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა აზერბაიჯანულ თემზე, რადგან ამ ქვეყანაში მიმდინარეობს ბევრი მისი რელიგიური ცენტრისა და ნაგებობის რესტავრაცია, რასაც ართულებს ის ფაქტი, რომ ისინი არ არიან რეგისტრირებული როგორც რელიგიური ნაგებობები. აზერბაიჯანული თემი ხშირად აწყდებოდა უკანონო შეხლდევებს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სამლოცველო სახლებისა და მეჩეთების მშენებლობისა თუ რესტავრაციის პროცესში.<sup>128</sup> მაგალითად, 2008 წლის 25 იანვარს ადგილობრივმა ხელისუფლებამ აკრძალა ახალი სამლოცველო სახლის მშენებლობა 100 პროცენტი ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ მუდანლოში, ხოლო, 2009 წლის სექტემბერში რადიკალური

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მთავრობის ბიუჯეტიდან გამოეყოფა განსაზღვრული თანხა. 2010 წელს ამ თანხამ შეადგინა 25.3 მილ. ლარი (10.6 მილ. ევრო), ამასთან ის სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით. დაწერილებითი ინფორმაციისათვის იხ.: International Religious Freedom Report 2010, US Department of State, 17 November 2010. Available at: <http://www.state.gov/g/drl/rls/irf/2010/148936.htm>.

<sup>127</sup> “აშშ ჰელსინკის კომისია აკრიტიკებს კონკორდატს აშშ-სა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის;” “US Helsinki Commission Criticises Concordat Between State and Orthodox Church,” 18 December 2002, Civil Georgia, <http://civil.ge/eng/article.php?id=2899>.

<sup>128</sup> ანგარიში “საქართველოს მუსლიმი მოსახლეობა 2010-2011”; Report “Muslim Community of Georgia 2010-2011”, Human Rights Monitoring Group of Ethnic minorities “MRMG”, Tbilisi, December 2011.

ქართული მართლმადიდებლური ჯგუფის წევრებმა შეახერხეს მეჩეთის სარემონტო სამუშაოები ტრადიციულად ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელში. ამ ჯგუფის წევრები სოფლის მოსახლეობისგან ითხოვდნენ მშენებლობის წერილობით ნებართვას და ემუქრებოდნენ, რომ თუ სამუშაოები არ შეწყდებოდა, ძალას გამოიყენებდნენ.<sup>129</sup> ის ფაქტი, რომ რამდენიმე პირმა შეძლო შეეჩერებინა მეჩეთის სარემონტო სამუშაოები, ხაზს უსვამს აზერბაიჯანული რელიგიური ნაგებობებისათვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების აუცილებლობას.<sup>130</sup> ამგვარმა ფაქტებმა საქართველოში მცხოვრები ბევრი აზერბაიჯანელი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათი რელიგიური უფლებები და თავისუფლებები საქართველოს კანონმდებლობით დაცული არ არის.<sup>131</sup>

ამგვარად, მნიშვნელოვანია, რომ 2011 წლის 5 ივლისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა სამოქალაქო კოდექსში შესწორების შეტანას, რომლის საფუძველზედაც რელიგიურ უმცირესობებს პირველად მიეცათ სამოქალაქო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების უფლება.<sup>132</sup> აღნიშნულმა შესწორებამ, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა, გამოიწვია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მხარდამჭერების პროტესტი. 2011 წლის 9-10 ივლისს თბილისში მოეწყო საპროტესტო მსვლელობა. ათასობით ადამიანს, რომლებსაც ხელში ხატები და დროშები ეჭირათ, წინ მოუძღოდნენ მართლმადიდებელი მღვდლები.<sup>133</sup>

<sup>129</sup> “საერთაშორისო რელიგიური თავისუფლება” 2010 წლის ანგარიში; Report “Muslim Community of Georgia 2010-2011”, Human Rights Monitoring Group of Ethnic minorities “MRMG”, Tbilisi, December 2011.

<sup>130</sup> ECMI-ის ინტერვიუ დამოუკიდებელ ჟურნალისტ რამილია ალიევასთან, თბილისი, ნოემბერი 2011 წ.

<sup>131</sup> ანგარიში “მუსლიმური თემი საქართველოში 2010-2011,” ეთნიკურ უმცირესობათა ‘ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის ჯგუფი,’ თბილისი, დეკემბერი 2001 წ.

<sup>132</sup> საქართველო იღებს ახალ კანონს რელიგიური ორგანიზაციების სტატუსთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დაცვის სახლი, თბილისი, 26 სექტემბერი 2011 წ., <http://humanrightshouse.org/Articles/16973.html>.

<sup>133</sup> ათასობით ადამიანი აპროტესტებს კანონს რელიგიური უმცირესობების სამართლებრივ



კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის, გიორგი ხუციშვილის მტკიცებით, შესწორებებთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობა შეგვახსენებს, რომ საქართველოში რელიგია დიდად არ არის დაცვადი პოლიტიკისგან: “ამან ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ რელიგია ყველაზე მგრძობიარე საკითხია საქართველოში.” აღნიშნა მან. “არსებობს, ასევე, რისკი იმისა, რომ მომავალში ნებისმიერი კამათი რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, პოლიტიკაში გადაიზრდება.”<sup>134</sup> სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის უფროსი ექსპერტის ბექა მინდიაშვილის აზრით ამ კანონის მიღება იყო თითქმის პირველი არარელიგიური კონსტიტუციური გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფომ მიიღო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისგან დამოუკიდებლად.<sup>135</sup> ამასთან, მან დაამატა, რომ ეს შესწორება მცირედენ ხელშესახებ სიკეთეს მოუტანდა ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ ათავისუფლებდა რელიგიურ უმცირესობებს საშემოსავლო გადასახადისგან.<sup>136</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი იძლევა გაფრთხილებას: “ამ კანონმა შესაძლებლობა მისცა რელიგიურ ერთეულებს უწოდონ საკუთარ თავს “საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა ამის იქით არაფერია.”<sup>137</sup> ორივე მათგანი ამტკიცებს, რომ

სტატუსთან დაკავშირებით, ‘სივილ ჯორჯია’, 10 ივლისი 2011 წ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=23728>.

<sup>134</sup> საქართველო: ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის უთანხმოებაში იკვეთება ანტი-სომხური ნიუანსები, Georgia: Church-State Dispute in Tbilisi Exposes Anti-Armenian Undertones, Eurasianet.org, 15 July 2011, <http://www.eurasianet.org/node/63889>.

<sup>135</sup> რელიგიური ორგანიზაციების, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაცია; Registration of Religious Organisations as Legal Entities of Public Law, Heinrich Boll Stiftung, Available at: <http://georgien.boell-net.de/web/115-1097.html>.

<sup>136</sup> ECMI-ის ინტერვიუ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის უფროსთან ბექა მინდიაშვილთან, თბილისი, ნოემბერი 2011 წ.

<sup>137</sup> თამარ ჩუგოშვილის კომენტარები საჯარო განხილვაზე, რელიგიური ორგანიზაციების,

რელიგიური უმცირესობების რეალური სტატუსი უცვლელი რჩება. ამგვარად, გაურკვეველია თუ კონკრეტულად რა ცვლილებას მოიტანს ეს შესწორება. 24 სექტემბერს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელევიზია ‘იმედთან’ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილების მიღებით ხელისუფლებამ “უთხრა ჩვენს მოქალაქეებს, რომ ყველა თანასწორია; ჩვენ ყველა თქვენგანი ერთნაირად გვიყვარს.”<sup>138</sup> საქართველოს მუსლიმთა ახლად შექნილი სამმართველო იყო პირველი რელიგიური ორგანიზაცია, რომლის რეგისტრაციაც მოხდა ახალი კანონით. შემდგომში მას კიდევ სამი სხვა ორგანიზაცია მოჰყვა: ლათინ კათოლიკეთა კავკასიის ადმინისტრაცია, საქართველოს ასირიელ-ქალდეელ კათოლიკეთა თემი და საქართველოს იეზიდთა სასულიერო კრება.<sup>139</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ახალ კანონს არ შეუძლია მათთვის თვალშისაცემი სიკეთის მოტანა, ზოგადად ისინი ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ეს არის დადებითი ნაბიჯი, მათთვის ‘მორალური მხარდაჭერის’ გასაწევად.<sup>140</sup>

საქართველოს ახერბაიჯანელთა თემი დგას მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე. უმუშევრობის მაღალი დონე, სამრეწველო პროდუქციის ნაკლებობა, მწირი სოფლის მეურნეობა და მოშლილი ინფრასტრუქტურა - ყოველივე ეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ოფიციალური მონაცემებით 2010 წლისათვის უმუშევრობის მაჩვენებელი 16.3 პროცენტი იყო, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით ზოგიერთ ადგილზე უმუშევრობის დონე 71

როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაცია. დაწვრილებითი ინფორმაცია იხ.: <http://georgien.boell-net.de/web/115-1097.html>.

<sup>138</sup> ამ დროისათვის რელიგიური უმცირესობების სამართლებრივი სტატუსის შესახებ ახალი კანონით რეგისტრირებულია ოთხი ჯგუფი, ‘სივილ ჯორჯია’, 28 სექტემბერი 2011 წ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=23974>.

<sup>139</sup> იქვე.

<sup>140</sup> ECMI-ის ინტერვიუ რელიგიურ უმცირესობებთან, თბილისი, ნოემბერი 2011 წ.



პროცენტი იყო.<sup>141</sup> ბოლო კვლევების მიხედვით, ქვემო ქართლის მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტის დღიური შემოსავალი არის 2 აშშ დოლარი (1.40 ევრო) ან უფრო ნაკლები. მთავარი ეკონომიკური საქმიანობა ბოსტნეულის მოყვანაა, ძირითადი მოსავალი - კარტოფილი, თუმცა, მიწის ნაკვეთები მცირე ფართობისაა (საშუალოდ 0.1 - 0.3 ჰა). ფიქრობენ, რომ რეგიონის სასოფლო-სამეურნეო რესურსების მართვა არაეფექტურად ხდება, ხოლო მიწის ნაკვეთები არათანაბრად არის განაწილებული.<sup>142</sup>

აზერბაიჯანელები, ასევე, ნაკლებად არიან წარმოდგენილი პოლიტიკურ სისტემაში. 150 წევრიან პარლამენტში მხოლოდ სამი აზერბაიჯანელია, ხოლო, ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ, მათ არ ჰყავთ ხელმძღვანელი პირები მუნიციპალურ მთავრობაში, მხოლოდ სამი ან ოთხი მოადგილე.<sup>143</sup> ცოტა აზერბაიჯანელი მსახურობს საკანონმდებლო ორგანოებში და ადგილობრივი ექსპერტების მონაცემებით წამყვანი პოზიციები ქონების განაწილების რეგულირების საქმეში ქართველებს უკავიათ. სახელმწიფო ენის ცუდად ფლობა წინააღმდეგობას უქმნის აზერბაიჯანელთა ინტეგრაციას ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო ეკონომიკური პრობლემები ქვემო ქართლში კიდევ უფრო ამძაფრებს მათში გაუცხოვების შეგრძნებას.<sup>144</sup>

<sup>141</sup> მათ უმრავლესობას უწოდებენ თვითდასაქმებულებს, თუმცა ამ სიტყვის ქვეშ ძირითადად იგულისხმება არასრული დასაქმება.

<sup>142</sup> “მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა ქვემო ქართლში,” კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, თებერვალი 2011 წ. ინტერნეტ-გვერდის მისამართი: [http://www.cipdd.org/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=40&info\\_id=532](http://www.cipdd.org/index.php?lang_id=ENG&sec_id=40&info_id=532).

<sup>143</sup> საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ევროპის ანგარიში № 178, 22 ნოემბერი 2006 წ. მისამართზე: <http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/178-georgias-armenian-and-azeri-minorities.aspx>.

<sup>144</sup> იქვე.

### III. ნაწილი 2: რეაგირება: საქართველოს მუსლიმები და სახელმწიფო

ამ ნაწილში განხილული იქნება საქართველოს მთავრობის რეაგირება ამ რთულ და მზარდი განვითარების მქონე სიტუაციაზე. ანალიზი გაუკეთდება როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს და მოცემული იქნება რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გახდეს ეს რეაგირება უფრო ეფექტური და სიტუაციასთან შესაბამისი. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში სიტუაცია მშვიდობიანი რჩება, არსებობს მისი ესკალაციის პოტენციური საშიშროება.

#### (i) საქართველოს სამმართველო მუსლიმთა

საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს და საქართველოს მთავრობის უშუალო რეაგირებას ყველა იმ გამოწვევაზე, რაც დგას საქართველოს მუსლიმური თემის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მუსლიმთა სამმართველო ოფიციალურად დამოუკიდებელია მთავრობისაგან, მისი მთავარი დამფუძნებლები არიან მთავრობის სამი მაღალჩინოსანი, ეთნიკური აზერბაიჯანელები: ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე, ჰუსეინ იუსუპოვი; ამჟამად სოფლის მეურნეობის მინისტრის თანაშემწე და მანამდე სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ქვემო ქართლში, ემილ ოჯახგულიევი; და საქართველოს პარლამენტის წევრი, აზერ სულეიმანოვი. სამივე მათგანი წარმოშობით ქვემო ქართლის რეგიონიდანაა. 2011 წლის ივლისში საქართველოს მუსლიმთა სამმართველო გახდა რელიგიურ უმცირესობათა პირველი უწყება, რომელმაც რელიგიის შესახებ ახალი კანონის მიხედვით მიიღო სრული სამართლებრივი სტატუსი, როგორც რელიგიურმა ორგანიზაციამ, რაც ნიშნავს იმას, რომ ის გახდა საჯარო სამართლის სუბიექტი, და ჰუსეინ იუსუპოვის აზრით, ოფიციალურად “სახელმწიფოს ნაწილი.”<sup>145</sup>

<sup>145</sup> ECMI-ის ინტერვიუ ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილესთან ჰუსეინ



მისი დამფუძნებლები ამტკიცებენ, რომ საქართველოს მუსლიმთა დამოუკიდებელი სამმართველოს შექმნის იდეა რამდენიმე წლის განმავლობაში მწიფდებოდა.<sup>146</sup> როგორც ჰუსეინ იუსუპოვმა განაცხადა, ბოლო წლებში საქართველოს მუსლიმურ თემში რელიგიური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ “რელიგიური საკითხები თითქმის არ განიხილებოდა,”<sup>147</sup> რამაც უკარნახა მას, დაეარსებინა ამგვარი ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, “რისკის ქვეშ” აყენებდა საკუთარ მდგომარეობას.<sup>148</sup> ის, ასევე, ამტკიცებს, რომ ახლა, როდესაც საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ბუნებრივია, მას ისევე როგორც სხვა იმ ქვეყნების უმრავლესობას, სადაც მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობს, უნდა ჰქონდეს საკუთარი მუსლიმური ადმინისტრაციული უწყება.<sup>149</sup> იუსუპოვის სიტყვებით, მუსლიმთა წარმომადგენლების კონსულტაციები მთავრობასთან დაიწყო 2011 წლის იანვარში და სამი-ოთხი თვის მანძილზე გრძელდებოდა.<sup>150</sup> ის ამბობს, რომ “პირადად ყოველდღე ხვდებოდა ამ პირებს მთელი ქვემო ქართლიდან,” და ამტკიცებს, რომ “ადგილი ჰქონდა საერთო მხარდაჭერას აღნიშნული [ადმინისტრაციის]

იუსუფოვთან, თბილისი ოქტომბერი 2011 წ. მას შემდეგ კიდევ სამა სხვა რელიგიურმა უმცირესობამ მიიღო ეს სტატუსი: ლათინ კათოლიკეთა კავკასიის ადმინისტრაციამ; საქართველოს ქალდეველ ასირიელ კათოლიკეთა თემმა და საქართველოს იეზიდთა სასულიერო კრებამ.

<sup>146</sup> ECMI-ის ინტერვიუ ჰუსეინ იუსუპოვთან და მთავრობის სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებთან, თბილისი, ივლისი-აგვისტო 2011 წ.

<sup>147</sup> ამაში ის გულისხმობს “პოლიტიკურ ზეგავლენას,” რომელიც მისი თქმით, შეინიშნება ამ რეგიონში.

<sup>148</sup> მისი სიტყვებით, რისკის ქვეშ იგულისხმება ის ზეწოლა, რომელსაც მოელის კავკასიის მუსლიმთა სამმართველოსგან ბაქოში. ECMI-ის ინტერვიუ ჰუსეინ იუსუპოვთან, თბილისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>149</sup> ანგარიში “საქართველოს მუსლიმური თემი 2010-2011”, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მონიტორინგის ჯგუფი, 2011 წ.

<sup>150</sup> ეს ორგანიზაცია ოფიციალურად დარეგისტრირდა როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია 2001 წლის 5 იანვარს.

შესაქმნელად.”<sup>151</sup> ის ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული სტრუქტურა მთლიანად დამოუკიდებელია მთავრობისგან და რომ ის, და სხვა თანადამფუძნებლები მისი დაარსების შემდეგ განზე გადგნენ, რათა საშუალება მიეცათ სასულიერო პირებისათვის მოეგვარებინათ საორგანიზაციო საკითხები: “მთავრობა არ ჩარეულა და არც ჩაერევა ამ ორგანიზაციის საქმიანობაში.”<sup>152</sup> ის აღიარებს, რომ ის და მთავრობის სხვა ოფიციალური პირები გაერთიანდნენ ამ ორგანიზაციაში, მაგრამ მხოლოდ როგორც მუსლიმები და მორწმუნეები.<sup>153</sup>

დაარსების შემდეგ, ადმინისტრაციაში ჩატარდა არჩევნები ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2011 წლის 12 ივნისს ხმა მისცა მთელი საქართველოს მეჩეთების *ახუნდების* (მეჩეთების ხელმძღვანელების) მიერ არჩეულმა ოცდაცამეტმა დელეგატმა.<sup>154</sup> ათწლიანი ვადით არჩეული იქნენ: მთავარ შეიხად ეთნიკური აზერბაიჯანელი, თბილისის მოლა ვაგიფ აკბეროვი; მთავარ მუფთად - ჯემალ პაქსაძე, ხოლო, იმამად - იასინ ალიევი.<sup>155</sup> 2011 წლის 29 ივნისს, თბილისში, ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში გაიმართა ინაუგურაციასთან დაკავშირებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდა მთავრობის რამდენიმე მაღალჩინოსანი. იუსუპოვის სიტყვებით, ახალი სამმართველოსადმი ხალხის მხარდაჭერის დემონსტრირებას წარმოადგენდა ის, რომ სავსე იყო არა მარტო შენობა, არამედ თეატრის ბაღიც. დამსწრეთა სამოცდაათი პროცენტი ჩამოსული იყო ქვემო ქართლიდან, “თითქმის ყველა სოფლიდან იყო წარმომადგენელი.”<sup>156</sup> თუმცა, გარედან მოწვეული ექსპერტები

<sup>151</sup> ECMI-ის ინტერვიუ ჰუსეინ იუსუპოვთან და მთავრობის სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებთან, თბილისი, ივლისი-აგვისტო 2011 წ.

<sup>152</sup> იქვე.

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> ECMI-ის ინტერვიუ ჰუსეინ იუსუპოვთან და მთავრობის სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებთან, თბილისი, ივლისი-აგვისტო 2011 წ.

<sup>155</sup> ECMI-ის ინტერვიუ ჰუსეინ იუსუპოვთან, თბილისი, ოქტომბერი 2011 წ.

<sup>156</sup> ECMI-ის ინტერვიუ საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ვიცე-დამფუძნებელთან, თბილისი, ივლისი 2011 წ.



აღნიშნავენ, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ რელიგიური და ადგილობრივი ლიდერები მუსლიმებით დასახლებული ადგილებიდან.<sup>157</sup>

ახლად არჩეულმა შეიხმა, ვაგიფ აკბეროვმა 2011 წლის ივლისში ECMI-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ “ადრე [საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნამდე], საქართველოს მუსლიმები სხვა მთავრობას [აზერბაიჯანის] ექვემდებარებოდნენ. ახლა მათ თავიანთი საკუთარი სამმართველო აქვთ; ის შეიქმნა დემოკრატიული პროცესების შედეგად, მთავრობის ჩარევის გარეშე.”<sup>158</sup> ის ამბობს, რომ ამჟამად აღნიშნული სამმართველო მუშაობს იუსტიციის სამინისტროსთან ქვემო ქართლში არსებული მეჩეთების რეგისტრაციაში გასატარებლად. შეიხ ვაგიფს, ასევე, სურს დაამყაროს ურთიერთობა უცხოეთის, განსაკუთრებით კი ევროპის რელიგიურ ორგანიზაციებთან და მთავრობებთან და ჩაატაროს ერთობლივი კონფერენციები.<sup>159</sup> ამასთან, საქართველოს ელჩი საუდის არაბეთში დაუკავშირდა საუდის არაბეთის *ჰაჯის* სამინისტროს საქართველოს მუსლიმებისათვის *ჰაჯის* ვიზების ცალკე კვლევის მოსაპოვებლად და ფიქრობს, რომ მიიღებს დაახლოებით 50 ვიზას, ხოლო, საქართველოს მუსლიმთა სამმართველო აცხადებს, რომ მომლოცველებს ვიზის ფულს არ გადაახდებიან. მისი ცნობით, საქართველოს მთავრობა არ აძლევს ფულს სამმართველოს და მისი დაფინანსება ხდება კერძო შემოწირულობებით. “თუმცა, ეს საკმარისი არ არის,” აცხადებს ის. “ჩვენ არ გვაქვს საკმარისი ფული.”<sup>160</sup>

ECMI-ის მიერ ქვემო ქართლში გამართული ინტერვიუებიდან ჩანს საფუძვლიანი უკმაყოფილება ახალი სამმართველოს მიმართ. მიუხედავად იმისა,

<sup>157</sup> ანგარიში “საქართველოს მუსლიმური თემი 2010-2011 წ.”, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მონიტორინგის ჯგუფი, დეკემბერი 2011 წ.

<sup>158</sup> ECMI-ის ინტერვიუ საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მთავარ შეიხთან, თბილისი, ივლისი 2011 წ.

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> იქვე. შეიხი ვაგიფის სიტყვებით, 2010 წელს ის თვითონ იყო მომლოცველად მექაში. მან იმგზავრა ბიზნეს-კლასით სტამბოლის გავლით და გადაიხადა 4500 აშშ დოლარი (დაახლოებით 3300 ევრო).

რომ არსებობს საერთო თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ამგვარი დამოუკიდებელი სამმართველოს შექმნა დადებითი მოვლენაა, მისმა ფორმამ, აგრეთვე, მისი შექმნის მეთოდებმა, მოწინააღმდეგეები გაუჩინა მას. აჰლ ულ-ბეითის წარმომადგენელთა აზრით: “საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს” შექმნამ მათი თემის რელიგიური ლიდერების, ინტელიგენციის და ხალხის შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, გამოიწვია [ქვემო ქართლში მცხოვრები] ადამიანების უკმაყოფილება.”<sup>161</sup> მართალია, აჰლ ულ-ბეითის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ ორგანიზაციის შექმნამდე რამდენიმე თვით ადრე, მათთან და ქვემო ქართლის სხვა რელიგიურ ლიდერებთან იმართებოდა კონსულტაციები და ასევე, მათ სთხოვეს შეეთავაზებინათ შესწორებები ორგანიზაციის წესდების პროექტში, მათი ინტერესები და შესწორებები მოგვიანებით მთლიანად იქნა უგულვებელყოფილი.<sup>162</sup> აჰლ ულ-ბეითის აზრით, ახალ სამმართველოს “უნდა მოეგვარებინა პრობლემები, მაგრამ ამის ნაცვლად ის ახალ პრობლემებს მოიტანს.”<sup>163</sup>

განსაკუთრებული უკმაყოფილება იქნა გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ სამმართველოს დამფუძნებლები იყვნენ მთავრობის მაღალჩინოსნები და არა მორწმუნე პირები, რასაც ბევრი რელიგიური პირი და ზოგიერთი რიგითი აზერბაიჯანელი ქვემო ქართლში მიიჩნევს მთავრობის მხრიდან ჩარევად.<sup>164</sup> განსაკუთრებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ასევე, ვაგიფ აკბეროვის შეიხად არჩევამ. ქვემო ქართლის რელიგიური პირები აცხადებენ, რომ ეს არის “მთავრობის, და არა ხალხის, არა მათი არჩევანი.”<sup>165</sup> ისინი ამბობენ, რომ პატივს სცემენ მას, როგორც მოლას, თუმცა, ის შეუფერებელია შეიხის როლისათვის, ვინაიდან, მას არ აქვს არც უმაღლესი რელიგიური განათლება და, მათი აზრით, არც მთავარი შეიხისათვის აუცილებელი

<sup>161</sup> ECMI-ის ინტერვიუ აჰლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობასთან, მარნეული, ივლისი 2011 წ.

<sup>162</sup> იქვე.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> ანგარიში “საქართველოს მუსლიმური თემი 2010-2011 წ.”, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მონიტორინგის ჯგუფი, დეკემბერი 2011 წ.

<sup>165</sup> ECMI-ის ინტერვიუ მორწმუნეებთან, მარნეული, ივლისი და ოქტომბერი 2011 წ.



მკერმეტყველებისა და ხელმძღვანელობის ნიჭი. ისინი ამტკიცებენ, რომ მას აქვს კრიმინალური წარსული, რის გამოც მუსლიმური თემი არ თვლის კანონიერ წევრად და პატივს არ სცემს მას. მათი დასკვნით “მას არ შესწევს უნარი სწორ გზაზე დააყენოს მათი თემი.”<sup>166</sup> ამასთან, ისინი ირწმუნებიან, რომ არჩევნების წინ მათ და რეგიონის სხვა რელიგიურ პირებს ურეკავდნენ მთავრობიდან და პოლიციიდან და ‘ურჩევდნენ,’ ხმა აკებროვისთვის მიეცათ.<sup>167</sup>

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების სამმართველოს კოორდინატორი, კობა ჩოფლიანი, ამ არგუმენტების უკან პოლიტიკურ მოტივაციას ხედავს: “მართალია, შეიხ აკებროვს არა აქვს მიღებული რელიგიური განათლება, მაგრამ მას აქვს თბილისის მოლად მუშაობის ათწლიანი გამოცდილება. მას დიდ პატივს სცემენ აზერბაიჯანელები [თბილისში] და ერთერთი საუკეთესო რელიგიური საკითხების ცოდნის საქმეში.”<sup>168</sup> ჩოფლიანი ადასტურებს, რომ ახალგაზრდობაში შეიხმა მართლაც გაატარა მცირე დრო ციხეში, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინ უმნიშვნელო დანაშაულისათვის: “უნდა ითქვას, რომ ამის გამო ის უფრო მეტად შეეფერება ამ პოსტს, ვინაიდან ის გარდაიქმნა და გახდა თბილისის მოლა. მთელი ამ წლების განმავლობაში, მისი კრიმინალური წარსული არავის გახსენებია, ეს მხოლოდ ახლა მოხდა, რაც ჩემი აზრით, პოლიტიკურ მოტივაციაზე მიგვანიშნებს.”<sup>169</sup>

ამ არგუმენტს არ ეთანხმება, ასევე მთავრობაც. მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ამტკიცებს, რომ [მარნეულში მცხოვრები რელიგიური პირები] თვლიან, რომ ისინი არიან ‘ცისფერსისხლიანები’ საქართველოს მუსლიმთა შორის, ხოლო მარნეული მათი დედაქალაქია. ისინი თვლიან, რომ სწორედ ისინი უნდა იყვნენ ლიდერები [ახალ ადმინისტრაციაში] და მთელი პრობლემებიც აქედან მოდის. ასევე, ის

<sup>166</sup> ECMI-ის ინტერვიუ ალ ულ-ბეითის ხელმძღვანელობასთან, მარნეული, ივლისი 2011 წ. <sup>167</sup> იქვე.

<sup>168</sup> ECMI-ის სატელეფონო ინტერვიუ სახალხო დამცველის ოფისის ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორთან კობა ჩოფლიანთან, ივლისი 2011 წ.

<sup>169</sup> იქვე.

თვლის, რომ აკებროვი კარგი არჩევანია: “მან იცის შვიდი ენა; ზოგიერთმა [აჰლ ულ-ბეითის ლიდერმა] კი მხოლოდ აზერბაიჯანული. როგორ შეუძლიათ მათ უხელმძღვანელონ მუსლიმურ თემს?” ის ამტკიცებს, რომ საკითხი ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას და რომ “ამ რელიგიურ პირებს [როგორებიც არიან აჰლ ულ-ბეითის ლიდერები] წარსულში ზედმეტი თავისუფლება ჰქონდათ.” მან ასევე დასძინა, რომ შეიხის პოსტზე თავიანთი კანდიდატურის წამოყენება შეეძლოთ, ასევე, რასიმ მამედოვს და ჰაჯი ალი ალიევს, თუმცა, ისინი ასე არ მოიქცნენ, ვინაიდან, იცოდნენ, რომ შეიხად არჩევის შემთხვევაში ვერ შეინარჩუნებდნენ კავშირებს ირანთან ან აზერბაიჯანთან. აჰლ ულ-ბეითმა უკვე მიიღო იმდენი ფული ირანიდან, რომ ისინი ამ კავშირს ვეღარ გაწყვეტდნენ; იგივე შეიძლება ითქვას ალიევსა და ფაშაზადეზე.<sup>170</sup>

2011 წლის ივლისში, “საქართველოს მუსლიმთა სასულიერო საბჭოს” ოცდაცამეტმა წევრმა მთელი ქვემო ქართლიდან, მათ შორის აჰლ ულ-ბეითის ხელმძღვანელობამ და რამდენიმე მეჩეთის ახუნდებმა, დაწერეს და ხელი მოაწერეს საპროტესტო წერილს პრეზიდენტ სააკაშვილის სახელზე, რომელშიც ისინი გამოხატავდნენ ღრმა შეშფოთებას ახალ სამმართველოსთან დაკავშირებით. ისინი წერდნენ:

“მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი სიხარულით მივესალმებით საქართველოს

<sup>170</sup> მოგვიანებით აღნიშნულმა წყარომ წერილობით გვამცნო: “იმ რელიგიურ ლიდერებს, რომლებიც ცდილობენ დაამკვიდრონ რადიკალური შიიზმი საქართველოში, ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატურა შეიხის პოსტის დასაკავებლად, თუმცა, მათ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. ამის ნაცვლად, მათ წამოაყენეს თავიანთი მხარდამჭერების კანდიდატურები. ამ კანდიდატებმა ვერ მიიღეს საკმარისი ხმები და ამგვარად დამარცხდნენ არჩევნებში. ლიდერებმა თავიანთი კანდიდატურები არ წამოაყენეს ერთი მიზეზის გამო: არჩევის შემთხვევაში ისინი ვერ გააგრძელებდნენ ისლამის მათეული ვერსიის გავრცელების ხელშეწყობას. ერთ-ერთი მათი მხარდამჭერის გამარჯვების შემთხვევაში კი მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ადვილად და მალულად დაენერგათ ირანული რელიგიური იდეოლოგია საქართველოში.” ECMI-ის ინტერვიუ და მიმოწერა მთავრობის მაღალჩინოსანთან, თბილისი, აგვისტო და დეკემბერი 2011 წ.



მუსლიმთა სამმართველოს შექმნას, მის წესდებაში დაშვებული შეცდომები და ამ შეცდომების შესასწორებლად ჩვენი შეთავაზებების უგულვებელყოფის ფაქტი, ანელეს ამ სიხარულს. [ქვემო ქართლის] ავტორიტეტული პირების ჩამოშორებამ და დემოკრატიული ნორმების უარყოფამ [მისი დაფუძნების პერიოდში] დაამსხვრია ყველა ის იმედი და ნდობა, რომელიც ჩვენ თავდაპირველად გაგვანდდა ამ ორგანიზაციის მიმართ. ის ფორმა, რა ფორმითაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა, გვაფიქრებინებს, რომ ის, პრობლემების მოგვარების ნაცვლად, ახალ პრობლემებს შეგვიქმნის.”

აჰლ ულ-ბეითმა, ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ქვემო ქართლის რიგით მოქალაქეებს შორის შეაგროვა დაახლოებით 8000 ხელმოწერა, რითაც აჩვენა, რომ სამმართველოს საწინააღმდეგოდ განწყობილი იყვნენ არა მხოლოდ რელიგიური პირები. აჰლ ულ-ბეითის წევრებმა, იმამის ფონდმა და სხვა რელიგიურმა ორგანიზაციებმა არაერთი კრება გამართეს ქვემო ქართლსა და თბილისში. კრებებს ესწრებოდა “დაახლოებით 60 რელიგიური პირი და მედრესეს მასწავლებელი.<sup>171</sup> ამ კრებებზე არჩეული იქნა 15 წევრი, “უმაღლესი რელიგიური საბჭო,” როგორც ახლად შექმნილი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ნაწილი. ჯგუფმა შეადგინა წესდება, რომელშიც ჩამოაყალიბა საკუთარი იდეები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი სტრუქტურის შექმნაა საჭირო საქართველოს მუსლიმთა თემისათვის და როგორ უნდა იმოქმედოს მან. ორი ასეთი დაპირისპირებული სტრუქტურის შექმნა იწვევს განხეთქილებას, რომელიც ადრე მუსლიმთა თემში არ არსებობდა და ზრდის მომავალში თემის შიგნით დაძაბულობისა და კონფლიქტების რისკს.<sup>172</sup>

**(ii) ანალიზი**

საქართველოს მიერ დამოკიდებლობის მოპოვებიდან 20 წლის განმავლობაში

<sup>171</sup> ანგარიში “მუსლიმური თემი საქართველოში 2010-2011”, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მონიტორინგის ჯგუფი, დეკემბერი 2011 წ. <sup>172</sup> ანგარიში “მუსლიმური თემი საქართველოში 2010-2011”, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მონიტორინგის ჯგუფი, დეკემბერი 2011 წ.

საქართველოს არაქართველ მუსლიმთა თემებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მნიშვნელოვან ცვლილებებს. ცალკეულ რელიგიურ დაჯგუფებებში და თემებშიც კი არსებობს განვითარების არა ერთი, არამედ რამდენიმე მიმართულება. ამ მიმართულებების ნიუანსები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და გაგებული იმ უმცირესობათა თემების კონტექსტში, სადაც მას აქვს ადგილი.

როგორც ეს პირველ ნაწილში გამოიკვეთა, საქართველოს მუსლიმური თემი შორსაა ერთიანობისაგან. ზედაპირულად ეს არ არის თვალშისაცემი, თუმცა, შიგნით მრავლადაა დაყოფისა და უნდობლობის ფაქტები. კვლევას უფრო ართულებს ის, რომ ბევრი გამოკითხული კითხვაზე, თუ როგორია სიტუაცია, თავდაპირველად პასუხობს, რომ პრობლემებს არა აქვს ადგილი. ზოგიერთი კი შემდეგ გვიხსნის: “როგორც მუსლიმები, ჩვენ არაფერს ვუჩივით და ჩვენ არ უნდა ვთქვათ ცუდი სხვებთან სხვა მუსლიმებზე, მაშინაც კი, როდესაც ვგრძნობთ, რომ ისინი არასწორედ იქცევიან.”<sup>173</sup>

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფმა დაწერა, რომ “ზედაპირულად სიტუაცია ქვემო ქართლში ნაკლებ ცვალებადი ჩანს [ვიდრე სამცხე-ჯავახეთში].” შესაძლოა იმიტომ, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელები მიეკუთვნებიან ყველაზე ნაკლებად აქტიურ პოლიტიკურ ჯგუფებს საქართველოში“. [მაგრამ] მათი სინამდვილე გამოწვეული იყოს საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებათა მხრიდან ზეწოლის შიშით. მათ ურჩევნიათ იყვნენ წყნარად ან უარყონ, რომ აქვთ პრობლემები [თუმცა, ისინი] გულახდილნი ხდებიან რიგით აზერბაიჯანელებთან.”<sup>174</sup> ევროკავშირის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის აზრით აზერბაიჯანელთა თემი “უფრო პასიურია, უფრო ტრადიციული და საკუთარ თავში უფრო დარწმუნებული, [ვიდრე საქართველოში მცხოვრები სხვა

<sup>173</sup> ECMI-ის ინტერვიუ ადგილობრივ მუსლიმებთან, იენისი-აგვისტო 2011 წ. <sup>174</sup> საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები. კრიზისის ჯგუფის ანგარიში № 178, 22 ნოემბერი, 2006. მისამართზე: [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/178\\_georgia\\_s\\_armenian\\_and\\_azeri\\_minorities.pdf](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/178_georgia_s_armenian_and_azeri_minorities.pdf).





უმცირესობები.”<sup>175</sup> ის საუბრობს უსიტყვო შეთანხმებაზე, რომლის თანახმადაც აზერბაიჯანული თემი საარჩევნო ხმების სანაცვლოდ იღებს ჩაურევლობის გარანტიას სახელწიფოსგან.<sup>176</sup>

ერთ-ერთი რეგიონული ექსპერტის მტკიცებით, ისეთი რელიგიური სამმართველოები, როგორცაა კავკასიის მუსლიმთა სამმართველო და ახლადშექმნილი საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, თავისი არსით წარმოადგენს პოლიტიკურ და არა ისლამის საფუძველზე აღმოცენებულ ერთეულებს.<sup>177</sup> მისი აზრით საქართველოს მუსლიმთა გამოყოფა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოსგან, არის უფრო ფართო პოსტსაბჭოური ტენდენციის ნაწილი, რომლის მიზნია რელიგიური სამმართველოები მოაქციოს არსებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. “თავისი არსით ესენია არაისლამური, საბჭოთა პერიოდის გადმონაშთი უწყებები,” ამბობს ის, და საკითხავია მათი ეფექტურობისა და ხანგრძლივობის ხარისხი: “თქვენ შეგიძლიათ შექმნათ [საქართველოს მუსლიმთა სამმართველო], მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუსლიმური თემი მიიღებს მას მმართველ ორგანოდ.”<sup>178</sup> თუ რა მასშტაბით მოხდება ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კანონიერად მიიჩნევენ მის შექმნას და რამდენად წარმომადგენლობითი იქნება ის.

საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნას ბევრი მიიჩნევს საქართველოს მთავრობის მცდელობად, დააწესოს განსაკუთრებული კონტროლი აზერბაიჯანულ თემზე. სამმართველოს ამგვარი, ზემოდან კონტროლირებადი ფორმით შექმნის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი არ შემოიფარგლება რელიგიური ლიდერების მცირერიცხოვანი ჯგუფით, რომლებიც თავმოყრილნი არიან მარნეულში. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მთელ ქვემო ქართლის რეგიონში (აჭარაშიც კი) მცხოვრები ბევრი ადამიანი უფრო ენდობა მარნეულის რელიგიურ ლიდერებს, ვიდრე შეის აკებროვს ან საქართველოს მუსლიმთა

სამმართველოს.<sup>179</sup> თუ საქართველოს მუსლიმთა სამმართველო კვლავაც დარჩება ასოცირებული მთავრობასთან და არ მოახდენს რეაგირებას ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებსა და საჩივრებზე, ცნება იმასთან დაკავშირებით, რომ ის კავშირშია მთავრობასთან, არ შეიცვლება. თუმცა, ზოგიერთმა ადგილობრივმა აზერბაიჯანელმა, რომელიც თავიდან ახალი სამმართველოს წინააღმდეგი იყო, მას შემდეგ, რაც მეტი შეიტყო მის შესახებ, და ასევე, მთავრობის მოტივაციის შესახებ, შეესუსტებინა ირანის ზეგავლენა ქვეყანაში, გადაწყვიტა, რომ ეს არის პოზიტიური ნაბიჯი.<sup>180</sup> ეს ხაზს უსვამს დიალოგისა და კავშირის გაძლიერების საჭიროებას მხარეებს შორის.

მიუხედავად მთავრობის მტკიცებისა, რომ ამ სტრუქტურის შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს მისი შემოფოთება უცხოური, განსაკუთრებით ირანისა და აზერბაიჯანის, ზეგავლენის მასშტაბების გამო რეგიონში, ახალ სამმართველოს არ გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სტრატეგია ამ საკითხის მოსაგვარებლად. როგორც ამ მოხსენებაში იქნა ნახვენები, ამგვარი იდეების ზეგავლენა შეზღუდული რჩება. კრიტიკის საგანია ის, რომ ძირითადი ჯგუფების უზუღვებელყოფის შედეგად, ახალი სამმართველო ქმნის სიტუაციის გამწვავების საშიშროებას და წარმოშობს რეგიონული რელიგიური ლიდერებისადმი მხარდაჭერის, და ამგვარად, მათი იდეების ზეგავლენის ზრდას ადგილობრივ მუსლიმურ მოსახლეობაში, რაც სწორედ ის არის, რის თავიდან აცილებასაც ცდილობს მთავრობა. როგორც ერთი ადგილობრივი ექსპერტი ამბობს: “საქართველოს მუსლიმთა სამმართველო გააგრძელებს თავის თვალსაჩინო, თუმცა სრულიად ზედაპირულ საქმიანობას, ხოლო, რეგიონში მოქმედი ‘ირანელი’ პირები ჩრდილში გადაინაცვლებენ. [მაშინ] საქართველოს მთავრობის განზრახვა, გააკონტროლოს მათი საქმიანობა, წააწყდება აზერბაიჯანელი მუსლიმი ოპოზიციონერების

<sup>175</sup> ECMI-ის ინტერვიუ ევროკავშირის წარმომადგენელთან, თბილისი, ნოემბერი 2011 წ.

<sup>176</sup> იქვე.

<sup>177</sup> ECMI-ის სატელეფონო ინტერვიუ რეგიონულ ექსპერტთან, პოლ გობლთან, ივლისი 2011 წ.

<sup>178</sup> იქვე.

<sup>179</sup> ECMI-ის ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტებთან, თბილისი 2011 წ.

<sup>180</sup> ECMI-ის ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებთან ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან, მარნეული და სადახლო, ოქტომბერი 2011 წ.



წინააღმდეგობას.”<sup>181</sup> ორი, არსებითად განსხვავებული ორგანიზაციის გამოჩენა, ქმნის ასევე, მეტოქეობის რისკს, რაც არსებობდა ‘რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტსა’ და კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს შორის აზერბაიჯანში, და ერთი აღიარებული რეგიონული ექსპერტის აზრით, წარმოადგენდა სერიოზულ დაბრკოლებას აზერბაიჯანის მთავრობისათვის, რომელიც ცდილობდა დაერეგულირებინა რელიგიის სფერო.<sup>182</sup>

საქართველოს მუსლიმთა სამმართველო ალბათ არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე. მაშინ, როცა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელობა მწვავედ აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობის ამ ნაბიჯს, აზერბაიჯანის მთავრობა კომენტარისაგან თავს იკავებდა. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა ტრადიციულად მყარია და ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანიც და აზერბაიჯანის მთავრობა ალბათ შეეცდება მის შენარჩუნებას. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზურუმის ნავთობისა და გაზის მილსადენები საქართველოს (ქვემო ქართლის) ტერიტორიაზე გადის. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი ყოველდღიურად ატარებს ერთ მილიონ ბარელ ნავთობს, ხოლო, 2016-17 წლებიდან აზერბაიჯანი ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენით გეგმავს დაახლოებით 20 მილიარდი კუბ. მ. გაზის ექსპორტს წელიწადში.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, 2011 წლის 1 აგვისტოს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისაუბრა ამ ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი ‘სტრატეგიული პარტნიორობის’ მნიშვნელობაზე. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამადიაროვმა, 14 ივნისს მარნეულში ვიზიტისას განაცხადა, რომ ყოველთვის, როდესაც ჩამოდის საქართველოში, ის ხედავს, რომ

“საქართველოს აზერბაიჯანელებს სულ უფრო და უფრო ნაკლები პრობლემები აქვთ.”<sup>183</sup> მან განაცხადა, რომ დააყენა საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს საკითხი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, გრიგოლ ვაშაძესთან და ისაუბრა “არასასურველი შედეგების შესაძლებლობაზე, ვინაიდან რელიგია მეტად დელიკატური საკითხია.”<sup>184</sup>

#### IV. დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც ამ მოხსენებაშია აღნიშნული, მუსლიმური თემი საქართველოში არ არის ერთიანი. ცალკეულ თემებშიც კი არსებობს განვითარების სხვადასხვაგვარი ტენდენცია, რაც ხანდახან დაპირისპირებითაც მთავრდება. მათ შორის არსებობს უნდობლობისა და დაყოფის შემთხვევები, თუმცა, სიტუაცია მშვიდობიანი რჩება. მნიშვნელოვანია, ის, რომ ყველა ძირითადი დაჯგუფება კვლავაც ინარჩუნებს ნდობის მაღალ დონეს საქართველოს მთავრობისადმი. ამ მომენტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოს მთავრობის მიდგომა ამ სიტუაციისადმი იყოს ზუსტად შერჩეული, ღია და ინკლუზიური. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძირითად ჯგუფებს შორის ღია დიალოგის ხელშეწყობას, ნდობისა და კავშირების გაძლიერებას.

საქართველოს მუსლიმთა ახალი და დამოუკიდებელი სამმართველოს შექმნა წარმოადგენს პოზიტიურ ცვლილებას, რასაც ამ ქვეყანაში მხარს უჭერს რელიგიურ პირთა უმრავლესობა. გასაგებია და დადებითი ის, რომ საქართველოს მთავრობას აქვს სურვილი, დააწესოს გარკვეული კონტროლი და მონიტორინგი მუსლიმური თემის საქმიანობასა და განვითარებაზე, რომელიც ბოლო წლებში საგრძნობლად შეიცვალა. ზოგადი თანხმობაა, ასევე, იმასთან დაკავშირებით, რომ კავკასიის მუსლიმთა სამმართველო ბევრს არაფერს აკეთებდა საქართველოს მუსლიმებისათვის და ამგვარად, პაჭი ფაშაზადეს და ბაქოში მყოფი

<sup>181</sup> ანგარიში “მუსლიმური თემი საქართველოში 2010-2011”, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მონიტორინგის ჯგუფი, დეკემბერი 2011 წ.

<sup>182</sup> *ისლამის პოლიტიზაცია აზერბაიჯანში*. გაზეთი ‘აბრეშუმის გზა’, სვანტე კორნელი, ოქტომბერი 2006.

მისამართზე: <http://www.silkroadstudies.org/new/docs/Silkroadpapers/0610Azer.pdf>.

<sup>183</sup> “აზერბაიჯანის მინისტრი მსჯელობს ეკონომიკურ და ეთნიკურ საკითხებზე საქართველოში”, Trend News, 14 ივნისი 2011 წ. <http://www.news.az/articles/georgia/38433>.

<sup>184</sup> იქვე.



სხვა რელიგიურ პირთა კრიტიციზმი საქართველოს მუსლიმთა პრობლემებზე ნაკლებ მნიშვნელოვანია.

ამგვარი სამმართველოს ეფექტურობისა და წარმატების ხარისხი მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მასშტაბით იქნება ის მიღებული და განხილული როგორც კანონიერი, მუსლიმთა თემის მიერ მთელ საქართველოში. იმისათვის, რომ ჩათვალონ კანონიერად, ის უნდა იყოს წარმომადგენლობითი მთელი თემისათვის. როგორც ბევრმა ექსპერტმა აღნიშნა, აზერბაიჯანელთა უმრავლესობა ცხოვრობს მარნეულსა და ქვემო ქართლში. ამიტომ საჭიროა მათი ჩართვა პროცესებში და არა გამორიცხვა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მთავრობამ უხელმძღვანელოს ადგილობრივი პრობლემების მოგვარებას, მიუხედავად იმისა, თვლის თუ არა ის ამას კანონიერად. სხვაგვარად ეს ორგანიზაცია შეუქმნის საკუთარ თავს სიმბოლური ხელმძღვანელის რისკის საფრთხეს, რომელიც მოკლებულია ძალას ან შესაძლებლობას მოახდინოს ცვლილება იქ, სადაც ეს საჭიროა. ის ასევე ქმნის განხეთქილების წარმოქმნისა და სიტუაციის გამწვავების რისკს მუსლიმურ თემში, ხოლო, უარეს შემთხვევაში, მას შეუძლია უბიძგოს იმგვარ 'არასასურველ საქმიანობას' იატაკქვეშეთისაკენ, რომლის გაკონტროლებაც სურს საქართველოს მთავრობას, სადაც უფრო გაძნელებულია მისი ზედამხედველობა და მონიტორინგი.

ECMI განსაკუთრებით ურჩევს საქართველოს მთავრობას, წარმართოს ღია დისკუსიები ახლად შექმნილ უმაღლეს რელიგიურ საბჭოსთან, საჭიროების შემთხვევაში მესამე მხარის მედიატორობით. საქართველოს მთავრობამ ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორ ტარდება არჩევნები სამმართველოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. სამმართველოსთან დაკავშირებით ყველაზე სადავო რჩება შეიხ ვაგიფის არჩევა. ზუსტად უნდა განისაზღვროს უფლებამოსილების ვადა და გარკვევით უნდა დაინიშნოს თარიღი არჩევნების შემდეგი რაუნდის ჩასატარებლად. ამ სიტუაციაში ათწლიანი ვადა მეტისმეტად გრძელია. ყველანაირი ზომები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ შემდეგი არჩევნები ჩატარდეს რაც შეიძლება გამჭვირვალედ და სამართლიანად, რაც საშუალებას მისცემს

ყველა რელიგიურ პირს თქვას თავისი სათქმელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მანამდე კი, მთავრობამ ნათელი უნდა გახადოს ის, თუ რა დონეზე იღებს მონაწილეობას ახალი სამმართველოს ფუნქციონირების საქმეში, რა არის ამ ორგანიზაციის მიზნები და რა გზით აპირებს ის ამ მიზნების მიღწევას.

აჰლ ულ-ბეითი და სხვა დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაციები, თავიანთი მხრივ, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მოემზადონ კომპრომისებისათვის, ყველა დონეს უნდა მიმართონ მხარეების შესარიგებლად და ხელი შეუწყონ მეტი დიალოგების გამართვას მათ შორის. მთავრობას შეუძლია დახმარების გაწევა ამ საქმეში, თუ ის დაარწმუნებს მათ, რომ არ მოახდენს აჰლ ულ-ბეითის დისკრიმინაციას და მათ მიეცემათ საშუალება გარკვეული როლი შეასრულონ ამ ორგანიზაციის მუშაობაში. აჰლ ულ-ბეითმა უნდა გაიგოს საქართველოს მთავრობის საფუძვლიანი შემფოთების მიზეზები და ეცადოს, მიაღწიოს კომპრომისს. კონკრეტულად, მან შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება ღიად უნდა წარმართოს საკუთარი საქმიანობა და ნათელი გახადოს საკუთარი მიზნები და დაფინანსების წყაროები. იმისათვის, რომ მოიპოვოს ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერა მარნეულში, საჭიროა ზომიერი მეთოდების გამოყენება აჰლ ულ-ბეითის სახელით საქმიანობის განხორციელებისას, რაც იქნება მისაღები და პრაქტიკული. ეს მათ ინტერესებშია; ქვემო ქართლის ადგილობრივი მოსახლეობა მხარს არ უჭერს ირანის ზეგავლენას მათ თემზე, თუმცა ისინი პატივს სცემენ აჰლ ულ-ბეითის ხელმძღვანელებს და ბევრი მათგანი კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ახალი სამმართველოს შექმნის საჭიროებას.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თბილისი კონსტრუქციულ მიდგომას იყენებს აზერბაიჯანული თემის მიმართ, ახლოს მიაქვს მათი საწუხარი და ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ გახადოს საქართველოს მუსლიმთა ადმინისტრაცია უფრო წარმომადგენლობითი და ამგვარად, უფრო ეფექტური. ამჟამად არსებული სიტუაცია არის არა მხოლოდ პრობლემური, არამედ საქართველოს მთავრობისათვის ეს არის შესაძლებლობა იმოქმედოს და თავი წარმოაჩინოს, როგორც



სამართლიანმა შუამავალმა, გადადგას ნაბიჯები იმ მიზნით, რომ საქართველოს აზერბაიჯანელებისთვის გარანტირებული გახდეს საქართველოში სრული ინტეგრაცია და ამგვარად, მოიპოვოს ადგილობრივი ლიდერების ნდობა, ხელი შეუწყოს სამართლიანობის გრძნობის გაღვივებას

სახელმწიფოს მიმართ. ეს ასევე ხელს შეუწყობს მას, გახდეს სამაგალითო უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით რეგიონში, სადაც ხშირად ხდება უმცირესობათა დისკრიმინაციის ფაქტების უზულებელყოფა.

### ავტორის შესახებ

#### კონორ პრასადი

კონორ პრასადი ამჟამად მუშაობს ცენტრალური აზიის ანალიტიკოსად კრიზისების საერთაშორისო ჯგუფში.

\*საკონტაქტო ინფორმაცია: [prasadc@tcd.ie](mailto:prasadc@tcd.ie)

შემდგომი ინფორმაციისთვის იხილეთ:

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES (ECMI)

Schiffbruecke 12 (Kompagnietor) D-24939 Flensburg

☎ +49-(0)461-14 14 9-0 \* fax +49-(0)461-14 14 9-19

\* E-Mail: [info@ecmi.de](mailto:info@ecmi.de) \* Internet: <http://www.ecmi.de>